გაზეთი ბოლქვნილა, „ვერსიანა" ეწოთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№127 (1022) 22 – 23 დეკემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

რატომ ითვლება შობის მარხვა მსუბუქად და როდის ისმენს ღმერთი ჩვენს ლოცვებს

გვ. 10

საფენდერო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე დუმილს არღვევს

ექსკლუზივი

გვ. 3

„კატეგორიულად უარვყოფ ნათესაობას, მხოლოდ დამთხვევაა, რომ დედა მყავს თამაზაშვილი, რომელიც წარმოშობით სულ სხვა რაიონიდან არის. რაც შეეხება ზვიად ჯანყარაშვილს, ის იყო ირაკლი ღარიბაშვილის ერთ-ერთი დასაყრდენი, როგორც არაერთხელ თავად პრემიერსაც უთქვამს... ნახსენები იყო გიორგი ზედელაშვილიც, რომელიც ზვიად ჯანყარაშვილის მამიდაშვილად დაასახელეს, რაც ასევე სრული სიცრუეა. დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ზვიად ჯანყარაშვილს მამიდა არ ჰყავს და მათ ერთმანეთი ორი წლის წინ გაიცნეს"

იოსებ ქადაგიშვილი: „თარგამაძე გამწარებულია, რომ წნეხისა და ტერორისგან გათავისუფლებული კომპანიები მას წიღს აღარ უხდიან!"

თამარ ჩხეიძე

„რეზო ჩხეიძეზე გავლენას ერთი ადამიანი ახდენს, რომელიც მამაჩემის ჯანმრთელობით და ასაკით სარგებლობს!"

გვ. 6

„ვისოლ ჯგუფმა" „სმარტი" და „ვენდის" რესტორანი საბურთალოზეც გახსნა

ახალ ობიექტებზე კომპანიამ 300-მდე ადამიანი დაასაქმა

გვ. 7

ლიბერთი ბანკმა და მანდატურის სამსახურმა სიმსივნით დაავადებულ პატარებს საახალწლო სურვილები აუსრულეს

ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK ბერი ანდრიას სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრს საყოფაცხოვრებო ტექნიკა გადასცეს

გვ. 8

417 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი სოფლის მეურნეობის ყველა დარგს მოიცავს

გვ. 9

კეთილშობილი ქალბატონი ქავთარაძის ქუჩიდან

გვ. 7

„ნაცადი კვანტადიანის სახელობის სისხლის ცენტრალურ ბანკს" 15 ათასზე მეტი დონორი ჰყავს

ვინ მფარველობს ირაკლი შოხიაშვილს

რატომ დანიშნეს ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელად და რა უთხრა პრივატული საუბრისას მიხეილ მაჭავარიანმა საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარეს

გვ. 4–5

დიტო გელოვანი

...რადგან რექსაჩმა, აქ მას ბიძიკოს ეძახდნენ და ის კი აღდგენილენს ძამიკოობით მიმართავდა, ბესამეს მიერ ფიცის მიღებისას გარკვევითა თქვა: „ოფიციალურ შეჯიბრებებში ყოველი სამი გატანილი ბურთის ავტორი ჰონორარად რიკარდოს ქუჩის „ბოლოში მდგარ სახლში ყოვლად უფასოდ შეშვებას მიიღებს, ორ ბურთზე — ნახევარ ფასს გადაიხდის, ერთზე — მთლიანად, ვერც ერთზე — უშემწვარხორცოდ დარჩება ხუთ დღეს. აბაა, ძამიკო“. მაგრამ სახალხო შეჯიბრი ჯერ არა ჩანდა. ეჰ...

(გურამ დოჩანაშვილი, „ვატერ(პო)ლოო, ანუ აღდგენითი სამუშაოები“)

ვინ იმსახურებს არმაგედონის ზანგს



„...ანუ აღდგენითი სამუშაოები“ — ეს რომ გუშინ ან დღეს დაწერილიყო, აღდგენით სამუშაოებში პოლიტიკურ ქვეტექსტს ამოვიკითხავდით. ესენი თუ ასე გააგრძელებენ, ნაცების აღდგენა გარდაუვალი იქნება, მაგრამ ღრმად რომ ჩავფიქრდები, თვალებს დავხუჭავ და მომავალს წარმოვიდგენ, მომავალში ნაცებს ვერ ვხედავ, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ესენი ასე ვეღარ გააგრძელებენ. ამიტომ, ერთ-ორ კვირაში, ისევ ჩავფიქრდები, დავხუჭავ თვალებს და შევეცდები, დავინახო, რატომ ვერ გააგრძელებენ ესენი ასე. ასე გაგრძელების სურვილი გადაუვლის თუ თვითონვე ვეღარ გაგრძელდებიან.

მოგატყუეთ... ნაცებს მომავალშიც ვხედავ, მაგრამ ჯერ ვერ გამირჩევია, სად ვხედავ — ვირის აბანოში თუ ლომის უკანალში, მაგრამ ამას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, იქ არიან, სადაც მათი ადგილია და იმის შუბა დახიოს არმაგედონის ზანგმა, ვინც ნაცების გამოსაყვანად თუნდაც ფეხი შედგას ვირის აბანოში და თუნდაც ლომის უკანალში შეყოს ხელი.

მაგრამ, ეს ხდება მომავალში, წარსულისგან შობილ აწმყოში კი, ყოველგვარი ჩაფიქრებისა და წარმოსახვის მოხმობის გარეშეც ჩანს, ვინ წევს ვირის აბანოს შესასვლელთან და ვინ არის გადაფარებული ლომის უკანალს, ემანდ, ნაცები იქ არ აღმოჩნდნენო.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, საქართველოს უბოროტეს მტერთა სამეულში ორ საპატიო ადგილს, ჩემი აზრითა და ღრმა რწმენით, ნაციონალური მოძრაობა და „რუსთავი 2“ იკავებენ (მაგათ კი დაიკავონ არმაგედონის ზანგის!), მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ შეცდომაა მათთვის ორი ადგილის მიკუთვნება, ერთმანეთი შექმნეს, ერთმანეთს სულს უბერავენ, აცოცხლებენ და ერთის სიკვდილი მეორის სიკვდილს ნიშნავს.

გასულ კვირამდე ვფიქრობდი, მეგონა, რომ ეს ყველას ესმის, მაგრამ ერთია — გესმოდეს, მეორე — იგებდე. მთავარი გაგებაა. შევეცადე, გამეგებინებინა ეკა ბესელიასთვის, ვერ გავაგებინე და შემდეგ, უკვე, თვითონაც ვეღარ გავიგე რასთან მქონდა საქმე — „შეაყარე კედელს ცერცვი“ თუ „აკაკუნე კედელი...“.

გასულ კვირაში „რუსთავი 2“ გლოვობდა საყდრისს და გლოვობდა უკრაინაში დაღუპულ ქართველ მეომარს, თუმცა იყო დრო, როცა დიდი ზარზეიმით გვამცნეს, როგორ მოუხსნა სააკაშვილმა საყდრისს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, არც აგვისტოში დაღუპული ბიჭები უგლოვიათ და არც გმირთა მოედანზე ვეტერანების დარბევის გამო გამოუთქვამთ წყენა.

ვირისგან წიხლი რა გასაკვირია? მაგრამ ეგ არის, რომ ხანდახან, ის, ვინც ჩვენ ვირი გვგონია, სრულიადაც არ არის ასეთი, ხოლო ხანდახან, პირიქით — ვირები და სირები ჩვენ გამოვდივართ.

გასულ კვირაში აღნიშნული ტელეკომპანია (რომელიც, სხვათა შორის, გამორჩეულია პროფესიონალიზმითა და კიდევ სხვა „პრო“-თიც) დატოვა ერთ-ერთმა წამყვანმა და ლომის უკანალში აღმოჩნდებოდა, რომ არა ეკა ბესელია. ზემოთაც აღვნიშნე, ზოგი ლომის უკანალზეა აყუდებული და ისე ოცნებობს-მეთქი.

„ირაკლი მაისურაძის ამბავი რომ გავიგე (მარიკა ვერულაშვილი და კახა ოქრიაშვილი მეოცნებეები რომ გახდნენ, ძველი ამბავია), ერთი სიკვდილი გავათავე, იცით, რას ვფიქრობ? ასე მგონია, რომ დავით აღმაშენებელს და თამარ მეფეს, უბრალოდ, კარგი პიარშიკები ჰყავდათ, თორემ ეს ქვეყანა არასოდეს ყოფილა კარგად და ვერც იქნება. იმისი არ იყოს — მინდა კარგია, უნდა გეკუთვნოდესო“, — დავწერე და ბესელიას პასუხმაც არ დააყოვნა.

ბესელია: გია, საჯაროდ მინდა, რომ დავწერო ეს მოკლე კომენტარი ირაკლი მაისურაძესთან დაკავშირებით: მისი წამოსვლის მიზეზებზე რუსთავი 2-დან. იგი თავად არ საუბრობს და ეს მისი საქმეა. მე მას ნლებია ვიცნობ იქამდე, ვიდრე პოლიტიკაში აღმოვჩდებოდი... მის ოჯახს ვიცნობ და ჩემთვის ახლობელი ოჯახია. არასოდეს დამავიწყდება მისი შინაგანი გამბედაობა იმ პერიოდში, როდესაც სააკაშვილის რეჟიმის შეცვლას ვცდილობდით და ვიბრძოდით წლების განმავლობაში და ირაკლი მაისურაძე იყო რუსთავი 2-ში. მას არც ერთი დღე არ გაუწყვეტია კომუნიკაცია და არ შეშინებია ჩემთან საუბრის, კომუნიკაციის. თუმცა ამას ვერ ბედავდა უფრო მეტად ახლობელი ადამიანი, ნათელ-მირონიც კი... ვერ ბედავდნენ პირდაპირი მნიშვნელობით „რადიკალურ ოპოზიციასთან“ ურთიერთობას. ირაკლი მაისურაძეს არც მაშინ გაუწყვეტია ეს კომუნიკაცია, როდესაც ჩემი შვილი და ძმა უდანაშაულოდ დაატყვევეს სააკაშვილიმერაბიშვილის დავალებით და მძევლად ჰყავდათ 2 წლის განმავლობაში... ის იჯდა ეთერში და პარალელურად მახსოვს მისი გამამხნევებელი ზარები.... რასაკვირველია, მას ამის გამო ემუქრებოდა სამსახურის დაკარგვა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მან გადალახა ეს შიში, რაც ბევრმა ვერ შეძლო. მოსამართლეებს უკანონო განაჩენი გამოჰქონდათ იმის გამო, რომ სამსახურის დაკარგვა არ უნდოდათ. რომელი ერთი გავიხსენო... ეს ჩემთვის არის ფაქტორი, გია, და მე არ მიყვარს დაუნახავი ადამიანი... მე მახსოვს ეს ნლები და მიმაჩნია, რომ ადამიანურად სწორად მოვიქეცი, როდესაც დღეს ირაკლი მაისურაძე წამოვიდა „რუსთავი 2“-დან, მე მას შევთავაზე თანამშრომლობა საზოგადოებასთან ურთიერთობის და მედიის საკითხებში. ვფიქრობ, რომ სწორად მოვიქეცი. მე არ მომწონს შეშინებული არც პოლიტიკოსი, არც ჟურნალისტი, მით უფრო, არც მოსამართლე და, საერთოდ, შეშინებული ადამიანი... სიკეთე არის სიკეთე და ჩემთვის ეს მარადიული ფენომენია...“

მე: თუ გინდა, უამრავ ადამიანს, პროფესიონალს ჩამოგითვლი, ვისაც ერთი წამით არ უყოყმანია, ყველაფერი გვერდით გადადო, გარისკა სიცოცხლით და თავისუფლებით და უანგაროდ ემსახურა საკუთარ მრწამსს და სამშობლოს. ჩამოგითვლი, და მათ დღევანდელ მდგომარეობასაც გეტყვი — უმუშევრები, დაუფასებლები, გულგატეხილები და იმედგაცრუებულები. ეს, რაც შეეხება მათ. რაც შეეხება ირაკლი მაისურაძეს, მაგას შენთან ჰქონდა თბილი ურთიერთობა, გოგიჩაიშვილს — სხვასთან, გოგოტიშვილს კიდევ სხვასთან და წავიდა, ჰეეე... ნუ მაცინებ, ძალიან გთხოვ, სრულიადაც არ ვარ სიცილის ხასიათზე. ეგეთი რამეები გუგული მაღრაძეს და ნანა ყეენიშვილს მოუყევი. კიდევ ვინ არიან ოცნების მხარდამჭერები? ჰო — მარიკა ვერულაშვილი და ირაკლი შიხიაშვილი, გარემოს დაცვაში მოკალათებული ზონდერები, რომლებზეც გწერდი და თითი არც ერთმა არ გაანძრიეთ. ქოციონალური მოძრაობა? რატომაც არა... ძალიან ზუსტი შეფასებაა. ყოჩაღ. ამისთვის ვიბრძოდი მთელი ათი წელი და მანამდე კიდევ 17 წელი. ირაკლი მაისურაძე... საკალელი, თატკალი... ნუ ამატირებ, ძალიან გთხოვ“.

ეს იყო და ეს. ერთი პირობა, ვიფიქრე, რა ვქნა, რა წყალში გადავვარდე-მეთქი, მაგრამ გამახსენდა, რომ ვერც მე და ვერც ჩემი შვილები წყალში გადავარდნის უფლებას თავს ვერ მივცემთ, რადგან გასული კვირიდან მოყოლებული მე ირაკლი მაისურაძეს უნდა ვუხადო ხელფასი და შემდეგ, ერთ დღესაც ჩემ შვილებს მაისურაძისთვის პენსიის გადახდა მოუწევთ.

მე რა?.. ჩვენ მოგვიწევს, ჩვენ შვილებს მოუწევთ და ამას იქნებ ისა სჯობს, ფული ავკრიბოთ და არმაგედონის ზანგს გადავუხადოთ მცირეოდენი ჰონორარი. სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს, თუმცა, ზოგ-ზოგიერთის პოლიტიკურ წარსულს თუ გავიხსენებთ, იქნებ შეძახილიც კი აღმოგვხდეს — „რა ვიწრო! გაფრენილი წერო და გაშლილი ზონტიკი...“ და ა.შ.

ღირს ამაზე დაფიქრება, თორემ იმასაც მოვესწრებით, მარიკა ვერულაშვილი რომ იტყვის, მოხუც კახელ ქალბატონებს 106 წლის ქალების გაუპატიურებაზე რომ ველაპარაკებოდი, ამით კი არ ვაშინებდი, არამედ იმედს ვუნერგავდიო.

ჰოდა, უძვირფასესო ნაცქოცებო, არმაგედონის ზანგს რომ ვახსენებ, კი არ გემუქრებით, არამედ თქვენს ცხელ სექსუალურ მომავალს ვხატავ.

ხოლო ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში, უკვე წარსულია და ამ წარსულში ბ-ნი თამაზ თამაზაშვილის ორი განცხადება უნდა აღინიშნოს, რომელთაგან ერთი სადავოა, ხოლო მეორე — უდავო. სადავო არის ეს — „ილია ჭავჭავაძის შემდეგ ბიძინა ივანიშვილის მსგავსი ინტელექტუალი საქართველოს არ ჰყოლია“. ხოლო უდავოა ეს — „ნაციონალურ მოძრაობას აქვს პროგრამა, რომ ირაკლი ღარიბაშვილი მოგონილი ჭორებით დაასუსტონ“.

ნაციონალურ მოძრაობას მართლაც აქვს ასეთი პროგრამა, რომლის დეტალებსაც „ქართულ ოცნებაში“ ათანხმებს. რაც შეეხება „ილიასა და ბიძინას შედარებით დახასიათებას“ და „ინტელექტუალთა სახეებს ქართულ ფოლკლორში“, ვფიქრობ, ილიას შემდეგ ყველაზე დიდი ინტელექტუალი არის ის, ვინც ნანა ყეენიშვილს „ოცნებაში“ უანგარო რეკომენდაცია გაუწია — დავით საგანელიძე.

გასულ კვირაში 15 წელი შეუსრულდა ჩემ მეგობარ სააგენტოს, „ინტერპრესნიუსს“. ვულოცავ და მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ ადგილობრივი მნიშვნელობის ნიუსს, რომელიც უთუოდ გაახარებს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მაცხოვრებლებს და ოქტომბრის, პირველი მაისისა და 26 კომისრების რაიონის სტუმრებს: „თბილისის საკრებულოსა და ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის კავკასიის ბიუროს შორის ხვალ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საკრებულოდან აცნობეს, დოკუმენტი ქუჩების სახელდების გენდერულად სენსიტიური პოლიტიკის შემუშავებასა და აღნიშნულ კამპანიაში მუნიციპალიტეტების ჩართულობას ისახავს მიზნად... მემორანდუმი ითვალისწინებს ქუჩების სახელდების დროს იმ გამოჩენილი ქართველი ქალების სახელებისთვის პრიორიტეტის მინიჭებას, რომლებმაც ქვეყნის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს, თუმცა საზოგადოებრივ მეხსიერებაში ფაქტობრივად დავიწყებულები არიან. როგორც საკრებულოში აცხადებენ, ზემოაღნიშნული პოლიტიკის შემუშავების მიზანი გენდერული თანასწორობის პრინციპების საზოგადოებრივ პოლიტიკაში გატარება და ურბანული დაგეგმარების გამჭვირვალობის ხელშეწყობაა. მემორანდუმის ხელმოწერის პარალელურად, მოეწყობა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის პროექტის „50 ქალი საქართველოდან” გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იქნება საზოგადო მოღვაწე ქალების ფოტოები და მათი ბიოგრაფიები... დაგეგმილია რეჟისორ ლია ჯაყელის ფილმის — „სადა ხარ, ჩემო სულიკო?“ ჩვენება“.

„მე ცუდი წინათგრძნობა მაქვს“, — თქვა სარზე ჩამოგებულმა თურქმა და ნელ-ნელა ძირს ეშვებოდა“...

მეც მაქვს ცუდი წინათგრძნობა და მეშინია, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდმა „შავლეგოს“ აკრძალვა არ მოგვთხოვოს.

მაგრამ რადგანაც კაცნი... მომიკვდეს თავი, შეგეშალა!.. მაგრამ, რადგანაც ქალნი გვქვია, შვილნი მშობლისა, დროის მოთხოვნას უნდა დავემორჩილოთ და ის ნიუსები გაიხსენოთ, იმ ამბებზე ვისაუბროთ, რომლებშიც ინიციატივა ქალებს ეკუთვნით: „თეა წულუკიანი — ერთ-ორ წელიწადში მოსამართლეთა ღირსეული კორპუსი გვეყოლება“; „პეტრო პროროშენკო ეკატერინე ზღულაძეს — თქვენი დიდი იმედი მაქვს, რომ სსრკ-ს ტიპის შსს-ს ევროპულ უწყებად ვაქცევთ“; „ხატია დეკანოიძე უკრაინაში პოლიტიკურ სკოლას აფუძნებს“.

და, კიდევ ერთიც: „ვიზიარებ, რომ სააკაშვილი არის ფრიადოსანი, მე კი ვარ ორმოცდაერთოსანი და კოალიციასთან ერთად ნაციონალური მოძრაობა 41:5 დავამარცხე, — ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა „მაესტროს ცხრიანში“, ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის საპასუხოდ განაცხადა“.

გენდერულ ამბავსა და დაბალანსებულ გაგებაში, უნდა აღინიშნოს, თეა წულუკიანმა „კოალიციაში“ იგულისხმა დიდი ინტელექტუალი გუგული მაღრაძე, დიდი სტრატეგი ეკა ბესელია, დიდი ტაქტიკოსი ნანა ყეენიშვილი და დიდი მზვერავი მარიკა ვერულაშვილი. მართალია, წულუკიანს ამომრჩევლები არ უხსენებია, მაგრამ თავისთავად იგულისხმება, რომ სანამ კაცები დომინოს თამაშობდნენ, ქალები ხმას აძლევდნენ და აქვე ერთი იდეაც — რომელიმე ქუჩისთვის „თეა წულუკიანისთვის ხმის მიმცემთა ქუჩა“ ხომ არ დაგვერქმია? კარგი იქნება, თუ ამ იდეას თბილისის ბიუჯეტში შეიტანენ, მით უმეტეს, რომ ჯაბა სამუშიას უთქვამს, თბილისის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი ყველაზე სრულყოფილი ფინანსური დოკუმენტიაო.

თავმდაბლობას რა ვუთხარი, თორემ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ყველაზე სრულყოფილი ფინანსური დოკუმენტი ჯაბა სამუშიას ის პროგრამა იყო, რომლის მიხედვითაც დენი 10 თეთრად, გაზი 5 თეთრად, ხოლო წყალი უფასოდ უნდა ყოფილიყო. აფსუს... მაგრამ, იმედს არ ვკარგავ — დაბრუნდებიან გიორგი თარგამაძე და ინგა გრიგოლია პოლიტიკაში, მაგდა ანიკაშვილი ჩიორას დააღწევს თავს, ისევ აღდგება ლეგენდარული „ოთხი შტატივი და ერთი ჩითის კაბა“ და... სოფელიც აშენდება. მანამდე კი, ნება მომეცით, დავეთანხმო ვანო კიღურაძეს, რომელმაც... „საქართველო არც სვაზილენდის სამეფოა და არც სახას რესპუბლიკა, რომ, როცა უცხოეთიდან რაღაც პროგრამას გიგზავნიან, თქვა, რომ არის საერთაშორისო სტანდარტის“, — ამ შეფასებით მთავრობას და განათლების სამინისტროს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის ხელმძღვანელმა, ვანო კიღურაძემ ბიუროს დღევანდელ სხდომაზე მიმართა“, — იუწყებოდა ჩემი მეგობარი, იუბილარი.

დიახ, სამწუხაროდ, საქართველო არ არის სვაზილენდის სამეფო და ვინ იცის, იქნებ სვაზილენდში ეროვნულ დღესასწაულად დაწესდა ის დღე, რომელ დღესაც სვაზილენდელებმა გააცნობიერეს, რომ სვაზილენდის სამეფო არ არის საქართველო.

გასულ კვირაში გააცნობიერეს, სწორედ იმ დღეს, როცა ეს ინფორმაცია გავრცელდა: „მობილური ტელეფონები, რომელიც თანამშრომლებმა საჩუქრად მიიღეს, კონტრაბანდულ, სახელმწიფოს საკუთრებაში მოქცეულ ქონებას წარმოადგენდა, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს” ფინანსთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს მათივე ინფორმაციით, აღნიშნული მობილური ტელეფონები არ იყო შესყიდული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საბიუჯეტო სახსრებით, რაც ნიშნავს, რომ მათში არ გადახდილა ბიუჯეტის და გადასახადის გადამხდელთა ფული“.

აქვე გეტყვით — „შემოსავლების სამსახურში, დღეს სოლიდარობის აქცია — „გაიღე სისხლი” გაიმართა. როგორც სსიპ შემოსავლების სამსახურიდან გვაცნობეს, საკუთარი სისხლი საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისის“ თანამშრომლებმა ამჯერად ძუძუს კიბოთი დაავადებული ქალებისა და ლეიკემიით დაავადებული მოზრდილების დასახმარებლად გაიღეს“.

მოკლედ, სანამ ამბავი არ ატყდა, აიფონებზე ხმა არ ამოუღიათ, სამაგიეროდ, 100-100 გრამი სისხლი ჩააბარეს, ქვეყანას მოსდეს. დარწმუნებულები ხართ, რომ საკუთარი სისხლი ჩააბარეს და არა გადასახადების გადამხდელთა სისხლი? რა ვიცი, რა ვიცი... ახლა მახსენდება... აი ის ირმის ცვრიანი მწვადები და რძეში მოხარშული ციკანი, ორივე კონტრაბანდით იყო შემოტანილი და იმიტომ იყო, არც აიფონებზე და არც ციკნებზე სიტყვა რომ არავინ დაძრა. ეგ კი არა, მგონი, საყდრისიც კონტრაბანდა იყო და ამიტომ არ გვკითხეს არავის, როცა აფეთქებდნენ, არც ასაფეთქებელი ნივთიერება დაუფინანსებია ქართველ გადასახადის გადამხდელს...

ისე, თუ დააკვირდით, მხოლოდ აფეთქების შემდეგ გაირკვა, რომ კოჟორიძე და კომპანია საყდრისის ფანები ყოფილან; მხოლოდ აფეთქების შემდეგ გაირკვა, რომ მიხეილ გიორგაძისთვის „უწმინდესის აზრს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს“; და მხოლოდ აფეთქების შემდეგ გადაწყვიტა უჩა ნანუაშვილმა, რომ ცუდი არ იქნება, თუ კულტურის სამინისტრო სამუშაო ჯგუფს შექმნის.

სამუშაო ჯგუფს? რისთვის? კვალის წასაშლელად? ტერიტორიის გასასუფთავებლად? თქვენ კი გაგისუფთავათ არმაგედონის ზანგმა!

რაღაც ძალიან ბევრ დავალებას ხომ არ ვაძლევთ არმაგედონის ზანგს? არადა, თვითონ მოითხოვა. ამ ნიუსის წაკითხვისას გულდაწყვეტილი ჩანდა: „ესტორნან „თავადურში“ ბიზნესმენ მიხეილ ხუბუტიას სცემეს. ინციდენტი დაახლოებით საათნახევრის წინ მოხდა“. ძალიან გულდაწყვეტილი ჩანდა, დამასწრეს, რავა ყველაფერი დასწრებაზეა ამ ქალაქშიო — გაიძახოდა, მერე გაჩუმდა, ერთ ხანს რაღაცას ფიქრობდა და მერე ჩამოთვლა დაიწყო: „მაისურაძე-ბესელია — ეტა რაზ, კოჟორიძე-გიგაური — ეტა დვა, ნაც-ქოცები და „რუსთავი 2“ — ეტა ტრი“. და ამ დროს თვალში ლეპტოპის მონიტორი მოხვდა — „აცტჩჰეცკ.გე პოლიტიკოსთა განცხადებებში ფაქტობრივი სიზუსტის დადგენის ყოველკვირეულ მიმოხილვას აქვეყნებს. აცტჩჰეცკ.გე-ს დასკვნით, ბესელიას განცხადება სიმართლეა, სერგეენკოსი — მეტწილად მცდარი, ნარმანია კი ცრუობს... როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფაქტ-მეტრიდან აცნობეს, რვიდან 15 დეკემბრამდე, ფაქტმეტრმა სხვადასხვა გადამოწმებულ ფაქტზე რამდენიმე კვლევა გამოაქვეყნა. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ფაქტმეტრმა დაასკვნა, რომ ირაკლი აბესაძის განცხადება სიმართლეა“.

„აცტჩჰეცკ.გე და ირაკლი აბესაძე — ეტა ჩეტირე“, — ჩაილაპარაკა არმაგედონის ზანგმა და დასძინა, რომ დასაარმაგედონებელი კიდევ ბევრია. „თუმცა, სააკაშვილს ურიგოდ მოვემსახურები. კიდევ როდის აპირებს ეგ პროკურატურის მიერ ძებნილი ევროპარლამენტში მისვლას“, — დაინტერესდა ა. ზანგი. მას უპასუხეს, რომ სააკაშვილი, როცა უნდა, სადაც უნდა და როგორც უნდა ისე დადის, ხოლო პროკურატურაში რეფორმები იწყება.

„მე ვიცი, მაგათ რა რეფორმებიც მოუხდებათ“ — გაბრაზდა არმაგედონის ზანგი და უკვე რამდენიმე დღეა, პროკურატურა არმაგედონის ზანგის მოლოდინშია.

ბ.დ.ა.ზ. (ბესამემ და არმაგედონის ზანგმა)... და ბესამემ, უპირატესობა საბოლოოდ რომ განემტკიცებინა, თქვა: „აეგ შარვალი მომანოდე, ვაჟკაც. ეგრე“, ხოლო უმთავრესი რამ აღტაცება მაშინ ელოდა, როცა რექსაჩმა გარეთ, ქუჩაში გაიყვანა, ხელი მსუბუქი მოფერებით უბიძგა, და, უთხრა: „მე ფულიანა უკან მოგყვები, შენ კი, ბესამე, აბაა, სმენა-ა, რიკარდოს ქუჩის ბოლოსკე-ენ... იარ!“ როგორ გადის დრო?! რა შეუმჩნევლად, ვითომ...

(გურამ დოჩანაშვილი, „ვატერ(პო)ლოო, ანუ აღდგენითი სამუშაოები“)

სატენდერო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე დუმილს არღვევს „ნაციონალების“ ბრალდებებს სიცრუეს უწოდებს

იოსებ ქადაგიშვილი: „თარგამაძე გამწარებულია, რომ წნეხისა და ტერორისგან გათავისუფლებული კომპანიები მას წილს აღარ უხდიან!“

რუსუდან ხავთასი

ხელისუფლებაში ბოლო პერიოდში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს ოპოზიციის მხრიდან მწვავე გამოხმაურება მოჰყვა. ოპოზიციის წევრთა განცხადებები 7 დეკემბერს „რუსთავი 2“-ის გადაცემა P.S.-ში გავიდა, სადაც ირმა ნადირაშვილი და გივი თარგამაძე ე.წ. კახელების კლანსა და ე.წ. კორუფციულ სქემაზე საუბრობდნენ. უფრო კონკრეტულად, საუბარი იყო ტენდერებით მიღებულ უკანონო შემოსავლებზე, რამაც ოპოზიციის წარმომადგენელთა შეფასებით, ე.წ. ღარიბაშვილ-თამაზაშვილის კლანის ჩამოცილება გამოიწვია. ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები დეტალურად ყვებოდნენ, თანამდებობიდან გადამდგარი ადამიანების ახლობლებსა და მათ მიერ განხორციელებულ „ოპერაციებზე“. რეპორტაჟში ნახსენები იყო საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, ასევე სატენდერო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე იოსებ ქადაგიშვილი. თარგამაძის განცხადებით, „ქადაგიშვილმა საკუთარი სიმამრის კომპანიას, თითქმის მილიონი ლარის ღირებულების, ოთხი ტენდერი მოაგებინა“. იოსებ ქადაგიშვილი დასახელებულ თანამდებობაზე 2012 წლის ნოემბერში დაინიშნა, თუმცა უკვე შვიდი თვეა პოსტი დატოვა. წასვლის ერთ-ერთ მიზეზად სწორედ იმ ბრალდებებს ასახელებს, რომელიც ერთი წელია ოპოზიციის წარმომადგენლების მხრიდან ისმის. ამბობს, რომ ე.წ. კახური კლანის გამოგონება და მათ შორის მისი მოხსენიება, პრემიერ ღარიბაშვილის რეპუტაციის შელახვას ისახავს მიზნად. ქადაგიშვილის თქმით, ნაციონალური მოძრაობის ბრალდებებს, სამწუხაროდ, სათანადო პასუხი ამ დრომდე არ გასცემია. „თანამდებობა დავტოვე და მაინც გრძელდება ცილისწამება, ამიტომაც გადავწყვიტე, განმარტება გავაკეთო არა ნაციონალური მოძრაობის, არამედ საზოგადოების ინფორმირების მიზნით“, — ასე განმარტა დუმილის დარღვევისა და „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუზე დათანხმების მიზეზი სატენდერო კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ.

— ერთი წელია გრძელდება აბსურდული ბრალდებები პირადად ჩემი, როგორც სატენდერო კომისიის ყოფილი თავმჯდომარის, მიმართ. ხელზე აქვთ დახვეული ეს თანამდებობა და ააგეს სქემა.

— კონკრეტულად, თქვენ გდებდნენ ბრალს იმაში, რომ საკუთარ სიმამრს, თემურ მამაცაშვილს ოთხი ტენდერი მოაგებინეთ;

— ჩემი სიმამრი უკვე 30 წელია, მშენებელია და სხვადასხვა კომპანიებში საქმიანობს. მაშინ რომელ კომპანიაში მუშაობდა, ზუსტად არც კი ვიცოდი, დააკავშირეს ერთმანეთთან და ააგეს სქემა, როგორც სჩვევიათ. ჯერ კიდევ მაშინ, პირველად რომ დამაბრალეს ეს აბსურდი, მე თვითონ დავიწყე ამ კომპანიის ინტერნეტში ძებნა — „ფენიქსს“ ვგულისხმობ, სადაც იმ დროს ჩემი სიმამრი მუშაობდა. აღმოჩნდა, რომ ხუთი კომპანია არსებობს ამ სახელწოდებით. აქვე დავაზუსტებ, რომ „ფენიქსი“ ჩემს სიმამრს არ ეკუთვნის — იგი კომპანიამ 3 წლის წინ დაიქირავა, მხოლოდ როგორც საქმის მწარმოებელი.

რაც შეეხება თარგამაძის ცილისწამებას, რომელიც ვითომდა მოგებულ ოთხ ტენდერს ეხებოდა, სრული ბოდვაა და წარმოდგენა არ მაქვს. საუბარი იყო „სერპანტინზე“, რომ თითქოს ეს კომპანია საეჭვოდ იგებდა ტენდერებს. „სერპანტინი“ ისევე, როგორც „ბლექ სი გრუპი“, „ზიმო“, „არქეოპოლისი“, „კაუკასუს როად პროჯექტი“ და სხვა, წარმატებულები იყვნენ ყოფილი ხელისუფლების პირობებში და ასევე წარმატებით განაგრძობენ საქმიანობას მოქმედი ხელისუფლების პერიოდშიც. სხვათაშორის „სერპანტინს“ უფრო მეტი ტენდერი აქვს მოგებული ნაციონალების დროს, ვიდრე ახლა. ელექტრონულ ტენდერში ვინ მოიგებს, ამას არეგულირებს მხოლოდ ვაჭრობა. ზოგი კომპანია ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს და ტენდერს ავტომატურად ეთიშება, რასაც კომისია წყვეტს და არა თავმჯდომარე.

— მაშინ რით ახსნით გივი თარგამაძის აქტიურობას?

— საზოგადოების ნაწილისთვის კარგად ცნობილია, რომ გარკვეული საგზაო და სამშენებლო კომპანიების უკან მოიაზრებოდნენ ყოფილი მაღალი თანამდებობის პირები, მათ შორის გივი თარგამაძეც. კომპანიები იძულებულები ხდებოდნენ, მოგებული ტენდერებიდან მათთვის წილი გადაეცათ. ამჟამად კი წნეხისა და ტერორისგან გათავისუფლებული კომპანიები, ყოფილ მაღალჩინოსნებს წილს აღარ უხდიან, რამაც მათი გაღიზიანება გამოიწვია. სავარაუდოდ, სწორედ ამან განაპირობა გივი თარგამაძის ცილისმწამებლური განცხადებებიც.

— უფრო ზუსტად რომ ავუხსნათ მკითხველს რას ნიშნავს ელექტრონული ტენდერი და რა მოვალეობები გეკისრებოდათ თქვენ?

— ჩვენი საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილმა თუ იცის, შესყიდვების კანონი და სატენდერო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილება. სარგებლობენ ამით და ხალხს ატყუებენ. არანაირი გადაწყვეტილების მიღების უფლება მე არ მქონდა. ტენდერს არ ატარებს თვითონ სატენდერო კომისია, ატარებს შესყიდების სააგენტო, ელექტრონულად, ასევე ელექტრონული პროგრამით. კომისიის თავმჯდომარეს აქვს ერთადერთი ფორმალური მოვალეობა, რომელ საათზე დანიშნოს ტენდერი, როგორ განავითაროს დღის წესრიგი. მას მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, როდესაც კომისიის ხმები იყოფა ზუსტად შუაზე და მას აქვს ბოლო სიტყვის თქმის უფლება. ასეთი შემთხვევა კი პრაქტიკაში არ მქონია. ელექტრონული ტენდერი ნიშნავს იმას, რომ ვინც უფრო დაბალ ფასს დადებს, ის მოიგებს. ეს არის დაფარული, ხდება ელექტრონულად, მხოლოდ შედეგები მიდის კომისიამდე. ვაჭრობისას მონაწილე კომპანიების ვინაობა არ ჩანს. ამდენად მე როგორ უნდა გადავუწყვიტო ვინმეს მოგება ან წაგება? სატენდერო კომისია 15 წევრისგან შედგება, მე ვაწესებდი დღის განრიგს, თუ რა საკითხი გამოგვეტანა განსახილველად. სხვათაშორის, მოვითხოვე და ჩემი სურვილი იყო, კომისიის თითოეული განხილვა ყოფილიყო ჩაწერილი კამერაზე, რათა მაქსიმალურად გამჭვირვალე ყოფილიყო პროცესები და, სურვილის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირებს სრული ინფორმაციის მიღების საშუალება ჰქონოდათ. როდესაც 2013 წლის ანგარიში წარმოვადგინეთ, მაშინ შევთავაზე ეს იდეა, თუმცა მალევე დავტოვე თანამდებობა.

ასევე მიმაჩნია, რომ ტენდერებთან მიმართებაში, რომელიც დააწესა ნაციონალურმა მოძრობამ და ამ დრომდე მოქმედია, ძალიან ბევრი რამ არის შესაცვლელი, რათა უფრო სამართლიანი იყოს და სახელმწიფომ ტენდერში აირიდოს ე.წ. პირამიდის მოთამაშეები, რაც ხშირ შემთხვევაში, პროექტების ჩავარდნას იწვევს და შემდეგ, დაწეული ფასები აისახება დაგებული გზის ხარისხზე.

— რატომ დატოვეთ თანამდებობა?

— იმ დონეზე შემილახეს რეპუტაცია და ისეთ მდგომარეობამდე მიმიყვანეს, რომ იძულებული გავხდი, წამოვსულიყავი, რათა არ დამემძიმებინა ის მაღალი თანამდებობის პირები, ვისთანაც ვიყავი ნახსენები იმ ცილისმწამებლურ ბრალდებებში. ეს, უბრალოდ, თავმოყვარეობის საკითხი იყო.

თანამდებობა საკუთარი სურვილით დავტოვე, დაახლოებით, 7 თვის წინ. ამის მიუხედავად, მაინც არ წყდება ტალახის სროლა. ეს იყო ჩემი პირადი გადაწყვეტილება და სხვა არანაირი მიზეზი არ არსებობს. დავაპირე საჩივრის შეტანა სასამართლოში, მაგრამ აზრი არ ჰქონდა. არ არსებობს კანონი ცილისწამების შესახებ, ვერ დავამტკიცებდი ჩემს სიმართლეს. როგორც რიგითი მოქალაქე, ვთხოვ საკანონმდებლო ორგანოს, მიიღონ კანონი ცილისწამების შესახებ, რომელიც ადამიანებს ამგვარი მდგომარეობისაგან დაიცავს. ამდენი ტალახის სროლა და ცილისწამებაც აღარ იქნება.

— რით განსხვავდება წინა ხელისუფლების პირობებში ჩატარებული ტენდერები დღევანდელისგან?

— დღეს კომპანიები თანაბარ პირობებში იმყოფებიან. არის კონკურენტუნარიანი გარემო. ჩვენი კონტრაქტორი კომპანიების წარმომადგენლები, ვისთანაც პირადი საუბარი მქონია, მიყვებოდნენ, როგორ ჩაგრავდნენ, როგორ აგებინებდნენ გზებს უფასოდ, როგორ აშინებდნენ და სძალავდნენ თანხებს. ბევრს, მათი მმართველობის პირობებში, ეშინოდა კიდეც ტენდერში მონაწილეობა, რათა კომპანიის ბრუნვა არ გაზრდილიყო და ამას არ მოჰყოლოდა კომპანიის ხელმძღვანელების ძალოვან უწყებებში დაბარება. გეტყვით, როგორ ტარდებოდა ტენდერები „ნაციონალების“ დროს. ეს ვიცი პირადი საუბრებიდან და მოვუწოდებ ამ კომპანიების ხელმძღვანელებს, ამოიღონ ხმა და ნუ არიან ჩუმად!

ტენდერი მაშინაც ელექტრონული იყო და იგივე პრინციპით ტარდებოდა, მაგრამ იყო ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება. ძალოვანი სტრუქტურები აშინებდნენ კომპანიების ხელმძღვანელებს. აფრთხილებდნენ: შენ არ მიიღებ მონაწილეობას ამა თუ იმ ტენდერში ან დადებ ამა და ამ ფასს! იგებდა ის, ვინც მათ სურდათ. ეს იყო მათი მოგონილი სქემა, რომლის მიხედვითაც მოქმედებდნენ.

იოსებ ქადაგიშვილი: „სამწუხაროა, რომ არ არსებობს კანონი ცილისწამების შესახებ“

— პრემიერ -მინისტრთან გაქვთ ნათესაური კავშირი?

— ირაკლი ღარიბაშვილს ვიცნობ, გვყავს საერთო ნაცნობებიც, მაგალითად, ალექსანდრე თამაზაშვილი, თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ეს არის მხოლოდ მეგობრობა და ნათესაური კავშირი არც ღარიბაშვილთან მაქვს და არც თამაზაშვილთან.

კატეგორიულად უარვყოფ ნათესაობას, მხოლოდ დამთხვევაა, რომ დედა მყავს თამაზაშვილი, რომელიც წარმოშობით სულ სხვა რაიონიდან არის. რაც შეეხება ზვიად ჯანყარაშვილს, ის იყო ირაკლი ღარიბაშვილის ერთ-ერთი დასაყრდენი, როგორც არაერთხელ თავად პრემიერსაც უთქვამს. ჯანყარაშვილის ჩამოცილება და ე.წ. კახური კლანის გამოგონება, ნაციონალური მოძრაობის გეგმა იყო და მიზნად ისახავდა ღარიბაშვილისთვის რეპუტაციის შელახვას. სწორედ ამიტომ გამოიყენეს მის წინააღმდეგ ცილისმწამებლური და მათ მიერ აპრობირებული მეთოდები. მათივე სქემაში ნახსენები იყო გიორგი ზედელაშვილიც, რომელიც ზვიად ჯანყარაშვილის მამიდაშვილად დაასახელეს, რაც ასევე სრული სიცრუეა. დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ზვიად ჯანყარაშვილს მამიდა არ ჰყავს, ასევე დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ჯანყარაშვილმა და ზედელაშვილმა ერთმანეთი ორი წლის წინ გაიცნეს.

სწორედ მსგავსი „სიმართლით“ ცდილობენ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. მხოლოდ იმის გამო დასწამო ცილი ადამიანს, რომ დედა ჰყავს ვიღაცის მოგვარე, ყოვლად დაუშვებელია.

— დღეს რას საქმიანობთ?

— უმუშევარი ვარ, ოფიციალური სამსახური არ მაქვს და ვაპირებ, კერძო სექტორში გადავინაცვლო. რაიმე საკუთარი ბიზნესი წამოვიწყო ოჯახი მყავს და ეს აუცილებელია. რაც შეეხება გადაცემა .შ-ს, ვურჩევდი, ინფორმაცია გადაამოწმოს. ასევე საინტერესოა, თარგამაძის ბრალდებები, რომ ჩაწერეს, მე რატომ არ დამიკავშირდნენ, რამდენადაც ვიცი, ჟურნალისტური პრინციპების გათვალისწინებით, ობიექტური რეპორტაჟისთვის მეორე პოზიციის მოსმენაც აუცილებელია. ეს ჩემი რეპუტაციის შელახვაა.

სხვათაშორის ახლა, მოცალეობის ჟამს დავინტერესდი და საზოგადოებასაც მინდა შევახსენო ირმა ნადირაშვილთან დაკავშირებით აგორებული ნეპოტიზმის სკანდალი, რომელიც მიჩუმათდა. კერძოდ, მისი დები და სიძე, ერთი და — სოციალური მომსახურების სააგენტოში, მეორე — სურსათის ეროვნულ სააგენტოში, სიძე — სამოქალაქო განვითარების სააგენტოში, მეუღლე — ეროვნულ ბანკში მუშაობდა, შემდგომში კი თბილისის ერთერთი რაიონის გამგებელი იყო. ასევე საკმაოდ საინტერესოდ გამოიყურება ირმა ნადირაშვილისა და მისი მეუღლის 2007-2013 წლების დეკლარაცია, რა დროსაც მხოლოდ დეკლარირებულმა შემოსავალმა 600 000 ლარს მიაღწია. სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არ არსებობს კანონი ცილისწამების შესახებ, არსებობის შემთხვევაში სამართლებრივად ვიმოქმედებდი და თარგამაძეს და ნადირაშვილს ამ სიცრუის ტირაჟირებისთვის პასუხს ვაგებინებდი.

ვინ მფარველობს ირაკლი შიხიაშვილს

რატომ დანიშნეს ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელად და რა უთხრა პრივატული საუბრისას მიხეილ მაჭავარიანმა

ივანო პავლიაშვილი

...გადაწყვეტილია: ნიკოლოზობას, 12 საათზე, ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტში უნდა ვიყო... დათქმულ ადგილას, დათქმულ დროზე 10 წუთით ადრე მივდივარ. ირაკლი შიხიაშვილი სამსახურში ჯერ არ მოსულა. მეუბნებიან, რომ ცოტა ხანს დაველოდო... დერეფანში ხალხი ირევა... წამი წამს მიჰყვება, წუთი — წუთს... ადამიანი, რომელზეც 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებიდან მოყოლებული, ათას რამეს ამბობენ, არ ჩანს... მოკლედ, ამ ლოდინში ორი საათი გავიდა და... ვეტერანთა სამსახურის ხელმძღვანელი, როგორც იქნა, გამოჩნდა... კაბინეტში ფეხდაფეხ შევყევი (სხვათა შორის, მდივანი არ ჰყავს), მაგრამ რად გინდა? — დოდო გუგეშაშვილი, უკრაინული „უნა უსო“-ს წარმომადგენლებთან ერთად გამოჩნდა... შეხვედრა ჩაიშალა... გავბრაზდი... შიხიაშვილი მეუბნება, არ მინდა, ნაწყენი დარჩეო და მპირდება, რომ საღამოს შემხვდება... იმედი არ მაქვს, მაგრამ... „მობილზე“ მესიჯი მომდის, 6 საათზე ბატონი ირაკლი კაფე „ფრაგოლაში“ დაგელოდებათო... ისე, „ფრაგოლაშიც“ დააგვიანა...

— ბატონო ირაკლი, 1992 წლიდან ჟურნალისტი ვარ და არ მახსოვს, ჩინოვნიკს ორი საათი დაეგვიანა, მერე კი ეთქვა, სტუმრები მყავს და არ მცალიაო...

— მე ჩინოვნიკი არ ვარ...

— აბა, ვინ ხართ?

— ვეტერანთა სამსახურის ხელმძღვანელი...

— ვეტერანთა სამსახური, როგორც ვიცი, სსიპ-ია. ასე რომ, ჩინოვნიკი გამოდიხართ... მოკლედ, იმას გეუბნებოდით, ბატონო ირაკლი, რომ ორი საათი არავის დავლოდებივარ...

— ამას იწერთ?

— რა თქმა უნდა...

— იმდენი საქმეა და ზოგჯერ, ერთდროულად, იმდენ ადგილას ვარ მისასვლელი, სამწუხაროდ, იმ პიროვნებასთან, ვისთანაც შეხვედრა საჭიროა, მაგვიანდება, ოღონდ ეს არ მსიამოვნებს. საერთოდ, დაგვიანება არ მიყვარს. ბატონო ვანო, მიზანდასახული სულაც არ იყო, მჯდარიყავით და ჩემთვის გეცადათ, თუმცა საშუალება მოგეცათ, ჩვენი ოფისი დაგეთვალიერებინათ...

— მხოლოდ კი არ დავათვალიერე, ბევრი საინტერესოც გავიგე... ჩემს ადგილას რომ იყოთ, როგორი რეაქცია გექნებოდათ? წარმოიდგინეთ, მინისტრმა ორი საათი გალოდინათ...

— ობიექტურ რეალობას ყოველთვის გაგებით ვეკიდები. ასე რომ, არ მინდა, ამაში ზედმეტი ტრაგიზმი დავინახო...

— ორსაათიანი ლოდინის შემდეგ, ჩემთვის მაინც ვერ მოიცალეთ — დოდო გუგეშაშვილი და „უნა უსო“-ს წარმომადგენლები მიიღეთ. ამ ხალხთან რა კავშირი გაქვთ?

— კავშირი არ მაქვს. უბრალოდ, ეს ადამიანები თავის დროზე კოდორის ხეობაში იბრძოდნენ. დღეს კი საქართველოში იმ 38 არასამთავრობო ორგანიზაციის მოწვევით არიან ჩამოსულნი, რომელსაც დოდო გუგეშაშვილი წარმოადგენს და ისე შემხვდნენ, როგორც ყოფილ მეომარსა და ვეტერანს.

— თავის დროზე, მხედრიონელი იყავით?

— მეომარი ვიყავი!.. ყველა ერთად ომობდა — მხედრიონიც, არამხედრიონიც, გვარდიაც და ასე შემდეგ. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ყველას, ვინც აფხაზეთში იბრძოდა, სამშობლოსთვის მეომარი ჰქვია. ისე, რომ იცოდეთ, შსს-ს სპეცდანიშნულების ასეულის უფროსი ვიყავი...

— საერთოდ, ბევრი რამ ვიცი... ადამიანები, რომლებიც სამშობლოსთვის ომობდნენ, სახელმწიფომ სიღარიბისა და შიმშილისთვის გაწირა. როგორც ვეტერანი, ხომ არ თვლით, რომ ამ ადამიანების დისკრედიტაცია მიზანმიმართული იყო?

— ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. ერთ-ერთ კი ის იყო, მაშინ საქართველო შემდგარი სახელმწიფო არ იყო.

— დღეს შემდგარი სახელმწიფოა?

— იმასთან შედარებით, ბუნებრივია, შემდგარია. საერთოდ, ქვეყანაზე ყველაფერი შედარებითია, მაგრამ ის, ვინც მიღწეულით კმაყოფილდება, სიარულს უკან-უკან იწყებს. ამიტომ, უკეთესისთვის უნდა იბრძოლო, მით უმეტეს, თუკი ცუდის გამოცდილება გაქვს... რიგ შემთხვევებში, პასუხგაუცემელი კითხვები მეც მაქვს, მაგრამ მთავარი პრობლემა ის იყო, ქვეყანამ საყოველთაო ომი არ გამოაცხადა. ეს ნახევრად სამოქალაქო ომი, ნახევრად კი კონფლიქტი იყო. თუ ვაღიარებთ, რომ ქვეყანა ერთიანია, მაშინ არ შეიძლება, აფხაზებსა და ოსებს ჩვენი მოქალაქეები არ ვუწოდოთ და მგონი, მხოლოდ ბრიყვს არ სჯერა, რომ ომს მათთან არ ვაწარმოებდით. ეს ომი რუსეთს ჰქონდა კარგად ორგანიზებული და ინსპირირებული. მისი პოლიტიკა ასეთი იყო: თუკი დაგვასუსტებდა და ტერიტორიებს წაგვართმევდა, როგორც სახელმწიფო, ვერ შევდგებოდით და იოლად დაგვიმორჩილებდა, მაგრამ, თუ ვინმეს ჩემთან მეგობრობა უნდა, ურთიერთობა მტრობით არ უნდა დაიწყოს. მეგობრები ერთმანეთს ზევიდან ან ქვევიდან კი არა, თვალებში უყურებენ...

— ჩვენ ერთმანეთს თვალებში ვუყურებთ. მეგობრები ვართ?

— ყოველ შემთხვევაში, ერთმანეთს მტრებად არ აღვიქვამთ. თვალებში რომ გიყურებთ, იმას გამოვხატავ, რომ დასამალი არაფერი მაქვს. შეიძლება, რამე არ ვთქვა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მოტყუების სურვილი მაქვს.

— რატომ არ უნდა თქვათ?

— იმიტომ, რომ ისეთი ინფორმაცია მაქვს, რომლის გასაჯაროებაც ჯერ საჭირო არაა. საერთოდ, მიმაჩნია, ადამიანი, რომელიც ყველაფერს ლაპარაკობს, არასერიოზულია. ადამიანმა ის უნდა ილაპარაკოს, რისი ლაპარაკიც საჭიროა და ვიდრე რამეს იტყვის, ბევრი გარემოება გაითვალისწინოს.

— ენაზე კბილის დაჭერა კარგი თვისებაა...

— მართალია, ძვალი არა, მაგრამ ენას გარშემო 32 კბილი აქვს...

— ზოგი უკბილოა...

— ერთი კბილი მაინც ხომ აქვს?!

— ბატონო ირაკლი, წეღან რომ თქვით, სახელმწიფომ საყოველთაო ომი არ გამოაცხადაო, მხოლოდ 90-იანი წლების აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოვლენებს გულისხმობდით, თუ 2008 წლის აგვისტოს ომსაც?

— 90-იან წლებს...

ირაკლი შიხიაშვილმა ე.წ. ფირჩამწერის გათიშვა მთხოვა, რაღაც უნდა გკითხოო. გავთიშე... მკითხა... ვუპასუხე... ამ საუბარ-საუბარში ისიც გავარკვიე, რომ ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელი რუსეთს ოკუპანტად თვლის. აფხაზებს კი არა, რუსებს ვეომებოდიო, — ამბობს შიხიაშვილი, რომლის მეუღლეც, მისივე სიტყვებით რომ გითხრათ, მეოთხედით აფხაზია — სიმამრს დედა აფხაზი ჰყოლია...

— ვეტერანი ომის პროდუქტია — ომს თვითონ არ იწყებს, მაგრამ, როცა ომია, უფლება არ აქვს, არ იომოს, თუმცა ყველაზე დიდი პაციფისტი მაინც ვეტერანია. ჩვენ, ვეტერანებმა ომიც ვნახეთ და ომის შედეგებიც, ამიტომაც, ომი ყველაზე მეტად ჩვენ არ გვიყვარს და ისიც ვიცით, რომ მშვიდობის უნდა გვეშინოდეს. ოცნება მაქვს, ადამიანთა ორმა დაპირისპირებულმა ჯგუფმა თავის თავში სიყვარულის ძალა იპოვოს...

— ისევ ოცნება!

— რატომაც არა?!

— ოცნებები რომ არ სრულდება?

— საქართველოს დამოუკიდებლობა ოცნება იყო, რომელიც რეალობად იქცა! მე ასეთ ოცნებაზე ვლაპარაკობ...

— მეგონა, დღევანდელ ოცნებას გულისხმობდით...

— დღესაც იგივე ოცნებაა... თუ ადამიანს ოცნება და ნატვრა არ აქვს, მოქმედებას არ იწყებს... აქ, ამ ქალაქში მცხოვრებნი, 400 წელი ოცნებობდნენ, ეს ქალაქი დედასამშობლოს დაბრუნებოდა და დაუბრუნდა!

— დღეს ოცნება ეგზომ პოლიტიზირებულია...

— გააჩნია, ვისი... ჩემი ოცნება პოლიტიზირებული არაა...

— „ოცნებელთა“ ნაწილს, ალბათ, ამიტომაც არ უყვარხართ...

— ვის?

— სახელები და გვარები გინდათ?

— არ ვიცი, რომ იქ ვინმეს არ ვუყვარვარ... მე არავინ მძულს. საერთოდ, სიძულვილი არ მიყვარს...

— წეღან მკითხეთ, ჩემზე რას ფიქრობო... 10-15 წუთია, ვსაუბრობთ და ნორმალურ შთაბეჭდილებას ტოვებთ, მაგრამ ერთი უცნაურობაა: არც ნაცებს „ევასებით“ და არც „ქოცებს“. პორტირებულსა და ათას უბედურებას გეძახიან... ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე, ჟურნალისტებმა ბიძინა ივანიშვილსაც ჰკითხეს, შიხიაშვილი „ქართუს“ გაკოტრებაში მონაწილეობდა და „ოცნებამ“ საკრებულოს თავმჯდომარედ რატომ დანიშნაო...

— რა უპასუხა?

— მგონი, ასე თქვა, ჯერ სასამართლო არ დამთავრებულაო...

— არასწორი ინფორმაცია გაქვთ და გეტყვით, როგორც უპასუხა.

— მომიტევეთ და, ივანიშვილის საჯარო გამოსვლებიდან ციტატების დამახსოვრება არ მევალება!

— იცით, რა? ძალიან მიკვირს, ნაცმოძრაობის წევრები „ქართუ ბანკის“ გაკოტრების ან გამდიდრების გულდამწვარი გულშემატკივრები როდის აქეთ გახდნენ? ზუსტად მახსოვს: ამ ბანკის გაკოტრებას გამალებულნი ცდილობდნენ... ეს ხალხი ტალახის სროლას აქეთ იწყებს, როცა ტალახი თვითონ ეკუთვნის. როცა ნაცმოძრაობის ხროვას ვამბობ, კოორდინატორ ქალბატონებს არ ვგულისხმობ. ამ ხროვაში ის ადამიანები არიან, რომლებიც ნაცმოძრაობას დიდი ხანია, კარგად გაწვრთნილი სექტის მიმართულებით მიაქანებენ. სექტანტური აზროვნებაა, რომ ყველა თვისება, რომელიც საზოგადოებას აქვს, უარყოფილი იქნეს და თავიანთი აზროვნება ტერორით დანერგონ.

— ყველაფერ ამას როდის მიხვდით?

— მაშინ, როცა პრივატული საუბრისას, ერთ-ერთ ცნობილ ნაციონალს ვკითხე, ქალბატონს, რომელიც თავისი ღობიდან პურს ყიდის და სალარო აპარატის არქონის გამო, 700-ლარიანი ჯარიმა დააწერეთ, თვიური შემოსავალი სულ 70 ლარი აქვს, ჯარიმას ვერ გადაიხდის და უნდა დაიჭიროთ-მეთქი? ნაციონალები ყველაფერ ამას „მეცნიერულად“ უდგებოდნენ და თანამოსაუბრემ მიპასუხა: ადამიანს 6-თვიანი სოციალური მეხსიერება აქვს. არჩევნებამდე 6 თვით ადრე, ზეწოლას შევწყვეტთ, კეთილები გავხდებით, ადამიანებს წნეხი დაავიწყდებათ და არჩევნებში ხმას ისევ ჩვენ მოგვცემენო.

— ეს ცნობილი ნაციონალი ვინაა?

— თავის თავს იცნობს...

— ჩვენც „გაგვაცანით“...

— მიშა მაჭავარიანი...

— მიშას, ჯერ კიდევ მოქკავშირის დროს, ქართველ გეგელსს ეძახდნენ...

— მაჭავარიანი მხოლოდ თავისი სახელით არ ლაპარაკობდა. ეს ნაცმოძრაობის ელიტური დაჯგუფების მსოფლმხედველობა იყო. სამწუხაროა, რომ სულში ვერ ქართველობდნენ...

— ზემოხსენებული კითხვის დასმიდან, საკრებულოს ნაცმოძრაობის ფრაქციაში კიდევ რამდენი ხანი დაჰყავით?

— როცა ეს კითხვა დავსვი, უკვე გამიჯნული ვიყავი, მაგრამ ამას ღიად არ ვაცხადებდი... 9 თვით ადრე, შევხვდი, ხელი ჩამოვართვი და ვუთხარი, ნაციონალების წინააღმდეგ ბრძოლას დავიწყებ, ოღონდ პატარა იარაღი და ცოტა ტყვია მაქვს, ამიტომ ჰაერში არ გავისვრი-მეთქი.

— ეს ვის უთხარით?

— ირაკლი ალასანიას.

— ალასანია რა შუაში იყო?

— ალასანიას 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე ბევრად ადრე, 3 თებერვალს შევხვდი — მაშინ ალასანიას ისე განვიხილავდი, როგორც ერთიან კოალიციას.

— ალასანიაზე დღეს რას ფიქრობთ?

— ვეღარაფერი გავიგე. ერთი რამ ადრეც არ მესმოდა: როცა იძახდნენ, „პორტირებული, პორტირებულიო“, პოლიტსაბჭოზე მაინც რატომ არ აცხადებდნენ, შიხიაშვილი ნაცმოძრაობას 27 სექტემბერს ანუ ციხის კადრების მერე კი არა, გაცილებით ადრე გამოეყოო. მეც არაფერს ვამბობდი, რადგან არ ეთქვათ, კოალიცია შიხიშვილის განცხადებების გამო დაიშალაო, მაგრამ დღეს ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია და სიმართლეს მეც ვიტყვი, რა და როგორც არის.

— ასეა თუ ისე, მიზანში სროლა გეხერხებათ: ნაციონალებს 27 სექტემბერს, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე გაემიჯნეთ!

— ამ გასროლისთვის დიდი ხანი ვემზადებოდი და 21 სექტემბერს უნდა მესროლა, მაგრამ რიგი ობიექტური მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა — ნაციონალებს, სხვადასხვა მიმართულებით, დიდი რესურსი ჰქონდათ გადასროლილი. შიხიაშვილის კი არც ბეგრაუნდი იცოდნენ და არც ვეტერანობა. მერე, დაკეტვას ეცადნენ — რამდენიმე ათეული სპეცრაზმელი იმ სახლთან იმყოფებოდა, სადაც ვიყავი.

— ანუ იცოდნენ, რომ გასროლისთვის ემზადებოდით?

— დიახ. განცხადების მერე კი ასე მსჯელობდნენ, მაგისგან გმირი არ გავხადოთ, არჩევნები დამთავრდება და მივხედოთო. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ არჩევნებზე 50 პროცენტზე მეტს აიღებდნენ და პარლამენტში სხვა კონფიგურაციას მიიღებდნენ, რომელსაც ნელ-ნელა დაშლიდნენ.

— იმ 9 თვის განმავლობაში, როცა ნაციონალებს შიგნიდან ებრძოდით, ბიძინა ივანიშვილთან კონტაქტობდით?

— არა, თუმცა იცოდა, ნაცმოძრაობისგან გამიჯნული ვიყავი... ბატონი ბიძინა ის ადამიანია, რომელიც სხვის ნაცვლად არ ლაპარაკობს და სხვის აზრსა თუ მოქმედებას პატივს სცემს.

— დღესაც ივანიშვილი გმფარველობთ?

— მეც, როგორ ყველა ადამიანს, მამა ღმერთი მფარველობს! იცით, რა არის? — როცა კაცი საქმეს აკეთებს ან გაკეთების მცდელობა აქვს, ამის საშუალება უნდა მიეცეს. ადამიანს პასუხი გაფუჭებული საქმის გამოც უნდა მოეთხოვოს! მე არავინ

მმფარველობს, საქმეს ვაკეთებ და ჩემზე ამ საქმეებმა ილაპარაკოს. თუ ვერ გავაკეთებ, პასუხი მომთხოვონ!

— 2010 წელს, როცა საკრებულოს დეპუტატი და ნაციონალების ფრაქციის წევრი გახდით, 7 ნოემბერიც მომხდარი იყო და გირგვლიანიც მოკლული. ტრაფარეტული კითხვაა, მაგრამ თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვა, სექტის გვერდით რატომღა დადექით?

— ტრაფარეტული არაა... ჩემს რაიონში 70-პროცენტიანი მხარდაჭერა მქონდა და ჩემგან ნაცმოძრაობამ უფრო მეტი მხარდაჭერა მიიღო, ვიდრე მე — მისგან. ამ რაიონში ჯერ გამგებლის მოადგილე ვიყავი და ვთვლი, ვერავინ იტყვის, შიხიაშვილი არ მუშაობდაო... ბატონო ვანო, მგონი, თქვენთვის უცხო არ უნდა იყოს, რომ საკრებულოს თავმჯდომარეობის დროს, ჩემი კარი არ იკეტებოდა. გამგებლის მოადგილეობის დროსაც ასე იყო. მეკითხებოდნენ, ამდენ ტკივილს როგორ უძლებო, მაგრამ ამ ხალხისგან დიდი ენერგეტიკა მოდიოდა...

— ვიცი, ვეტერანებს „მარშუტკით“ მგზავრობის საფასური თქვენი ინიციატივით გაუნახევრდათ...

— ჩემი და ჩემი გუდის ინიციატივით...

— ჯერ კარგს გეტყვით...

— (იღიმება) მერე, ცუდზე გადავალთ?

— აბა, რა?! სულიერი მოძღვარი არ ვარ, რომ შეგინდოთ!

— ჩემი „პიარშჩიკი“ არ ხართ და...

— თუ გინდათ, ამიყვანეთ და მაგრად „დაგაპიარებთ“...

— ვიფიქრებ...

— კარგი... მოკლედ, მითხრეს, რომ პარლამენტს კანონ-პროექტი წარუდგინეთ, რომლითაც ვეტერანთა დახმარება 100 ლარამდე უნდა გაიზარდოს, მაგრამ ეს ინიციატივა, თურმე, ირაკლი სესიაშვილმა დაბლოკა...

— ტყუილია...

— ისიც ტყუილია, ვეტერანთა ნაწილს თქვენთან პრეტენზიები რომ აქვს?

— ჩემთან პრეტენზია მაშინ უნდა ჰქონდეთ, როცა მოვლენ, რამეს მკითხავენ და პასუხს არ გავცემ... თუ ჩაკეტილი ვარ...

— დღეს ასე მომეჩვენა...

— როგორ?

— ჩაკეტილი იყავით და ჩემს კითხვებზე პასუხის გაცემა არ გინდოდათ...

— მცდარი შეხედულებაა... ჩემთან არც საშვთა ბიურო გინახავთ და არც — მდივანი...

— სხვათა შორის, ის ორი საათი, რაც დერეფანში ვიჯექი და გელოდით, ვიღაცები სულ ქაღალდებით გარბი-გამორბოდნენ, მაგრამ არ ვიცი, რეალურად, რას აკეთებდნენ...

— ამ ქაღალდებით საქმე კეთდება...

— საქმე კეთდებაო და, ამ დროს, ჩემი მეგობარი ვეტერანი, სხვების მსგავსად, 22-ლარიან დახმარებაზე ცხოვრობს...

— 22 ლარზე ვერავინ ცხოვრობს... 22 ლარს აძლევენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ცხოვრობს...

— ძმის ხარჯზე ცხოვრობს და სახელმწიფო არ არჩენს!

— ორი თვის განმავლობაში, ვეტერანებსა და ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას შევხვდი, რომელიც ვეტერანთა საქმეებითაა დაკავებული. საერთოდ, ვცდილობ, ყველა საკითხი მათთან გავიარო, რადგან ამაზე დიდი ხნის ნაშრომი და ნაფიქრი აქვთ. ყველას ინფორმაცია მჭირდება — მიქსს ვაკეთებ და ვითვალისწინებ, რამ შეიძლება აწიოს სახელმწიფო...

— ვეტერანთა მიმართ დამოკიდებულება, არ მგონია, იმ კლიპებით აიწიოს, რომელთა გადაღებასაც აპირებთ...

— დარწმუნებული ხართ?

— რა თქმა უნდა. კლიპმა ვეტერანის სოციალური მდგომარეობა როგორ უნდა გააუმჯობესოს?

— ბატონო ვანო, გონიერი ადამიანი ბრძანდებით და ერთ კითხვას მე დაგისვამთ: წეღან ვსაუბრობდით, რომ დიდი ხნის განმავლობაში, ვეტერანების მარგინალიზაცია, კრიმინალსა და მეამბოხეებთან გაიგივება ხდებოდა. შესაბამისად, საზოგადოებაში სოლიდარობის გრძნობა მცირდებოდა, რითიც ყველა ხელისუფლება სარგებლობდა და ამ ადამიანებს, ასევე, ქვეყნის თავდაცვის უნარიანობასაც დიდ ზიანს აყენებდა — ბავშვი ხედავდა, რომ ადამიანმა, რომელმაც კიდურები, მეგობრები დაკარგა, დაკარგა რწმენაც...

— თან ამ ხალხს ნაციონალები არბევდნენ და ამ დროს ნაცფრაქციის წევრი იყავით...

— არ იცით, ჩემი რეაქცია როგორი იყო...

— რეაქცია საჯაროდ გამოგეხატათ!

— არ მიყვარს ძაღლი, რომელიც ქარავანს უყეფეს!

— ეს ყეფა არ იქნებოდა!

— იქნებოდა! როცა ეს კითხვა ადრეც დამისვეს, ვუპასუხე: 2012 წლის 27 სექტემბერი — აი, ეს გავაკეთე-მეთქი.

— ესე იგი, გირჩევიათ, გვიან, ვიდრე არასდროს?

— აუცილებლად, ვიდრე არასდროს!

— ერთი სიტყვით, ნაცმოძრაობას შიგნიდან ანგრევდით?

— ნაცმოძრაობას კი არა, უსამართლობას ვებრძოდი! უსამართლობასთან შეგუება არ შემიძლია!

— იმას, ახალი ხელისუფალნი 17-ათასლარიან სახელფასო დანამატებს რომ იღებენ, უსამართლობად არ თვლით?

— ჟურნალისტებს პროვოკაციული კითხვები გახასიათებთ და სხვანაირად გიპასუხებთ: ადამიანი ფულს შრომაში, ცოდნასა და პროფესიონალიზმში უნდა იღებდეს. ცუდი შედარება გამომივა, მაგრამ ერთი ფეხბურთელიც დარბის მინდორზე და მეორეც...

— ზოგი კი გოლს საკუთარ კარშიც იტანს, მერე რა?

— ეს არ ვიცი... სხვათა შორის, საკუთარ კარში გატანილი ბურთი პელესაც აქვს... მინდორზე დიდხანს სირბილი კარგ ფეხბურთელობას არ ნიშნავს და ფეხბურთელებიც ერთნაირ ანაზღაურებას არ იღებენ. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ნიშნები შეინიშნება, როცა მიზანმიმართულად საუბრობენ, რომ რომელიმე მოხელე ხელფასს არ უნდა იღებდეს. ნორმალურია, თუ კარგი უნარების მენეჯერი მაღალ ხელფასს ითხოვს. როცა ადამიანს 800 მილიონის ზედამხედველობა ევალება, მაღალი ხელფასი უნდა მისცე, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, იწყება

ბიუჯეტის ციცქვნა... ერთმა, საკმაოდ მაღალანაზღაურებადმა ჟურნალისტმა ეს რომ მკითხა, შევუბრუნე, ანაზღაურება თქვენ რამდენი გაქვთ-მეთქი...

— ჯერ ერთი, ჟურნალისტებს მაღალი ანაზღაურება არ გვაქვს, მეორეც, მედია კერძო სტრუქტურაა და ჩვენ ბიუჯეტს არაფერს „ვციცქნით“...

— აზრი დამამთავრებინეთ... მინდა, ეს სტერეოტიპი, ერთხელ და სამუდამოდ, დაინგრეს, თორემ იმ ტოტს ვჭრი, რაზეც ვზივარ. მერე, რა, რომ კერძო სტრუქტურაში მუშაობ, ფულს ხომ შრომაში იღებ? პროფესიონალი, რომელსაც სახელმწიფო დაბალ ხელფასს აძლევს, გარბის, მის ადგილას ცუდი მოდის და ეს ქვეყანას ღუპავს. ვერ ხვდებით, რომ მართალი ვარ?

— გიპასუხებთ...

— ამას კიდევ პასუხი აქვს?

— აქვს: ბიუჯეტის ციცქვნა უფრო სერიოზული პრობლემაა თუ მედიცინა, რომელიც ადამიანის სიცოცხლეზეა პასუხისმგებელი?

— ეს ისეთი კითხვაა, პამიდორი უფრო წითელია თუ კიტრი უფრო მწვანეაო?

— ბატონო ირაკლი, მწვანე პომიდორიც არსებობს, მაგრამ მედიცინის პროფესიონალ მუშაკს ხელფასი 120 ლარი რომ ექნება და ამ დროს, მაგალითად, ფინანსთა მინისტრი 17-ათასიან სახელფასო დანამატს აიღებს, ეს უსამართლობა არაა?

— ამ ექიმებს ხელფასი 3 ათასი ლარი რომ მისცენ, ვიღაც გამოხტება და იტყვის, რა დროს 3 ათასი ლარია, როცა საარსებო კალათა 150 ლარია და 120 ლარი მივცეთო...

— ვერ გავიგე...

— თქვენ იგივე გაიმეორეთ, რაც მე ვთქვი... საერთოდ, დემაგოგია ნამდვილი ფაქტებით ტყუილის თქმაა.

— გამაცინეთ... ესე იგი, ერთ-ერთ რაიონში პროფესიონალ მედპერსონალს ოპერაციაზე 20-თეთრიანი ანაზღაურება რომ აქვს, გატყუებთ?

— არა.

— აბა, დემაგოგობას რატომ მაბრალებთ?

— იმას არ ამბობთ, 20 თეთრი რატომ აქვს.

— მაცადეთ და ვიტყვი: სახელმწიფო კონკრეტულ საავადმყოფოს არ ხედავს — პალატებში ვირთხები დარბიან, პაციენტი სხვაგან მიდის და შესაბამისად, ორგანიზაციას შემოსავალი აღარ აქვს! ესაა დემაგოგია?

— იქამდე მივედით...

— სადამდე?

— ამ საქმეს კარგი მენეჯერებით დაკომპლექტებული სამინისტრო უფრო მიხედავს თუ ცუდი? რა სჯობია, კარგ მენეჯერს კარგი ხელფასი მივცეთ, რომელიც ამ ხარვეზს დროულად შეამჩნევს და გამოასწორებს თუ ათასლარიანი მენეჯერი?

— ათასი კი არა სამი და ოთხათასიანი მენეჯერებ-მინისტრებიც გვყავს!

— ეს კიდევ ცალკე თემაა... მინდა, მაღალი კლასის სპეციალისტი მოვიყვანო, ვინც საავადმყოფოს მენეჯმენტი იცის და ჰოსპიტალი განვავითარო...

— ეს ის ჰოსპიტალია, საკრებულოს თავმჯდომარეობისას ბიუჯეტი რომ დაუმტკიცეთ და თანხის ნაწილი, როგორც ამბობენ, გიგიმ გააქრო?

— კი არ გააქრო, შეჭამა...

ირაკლი შიხიაშვილს, როგორც ამბობს, წინამორბედებზე ლაპარაკი არ უყვარს, მაგრამ ხაზს უსვამს, რომ არცთუ დიდი ხნის წინ, ვეტერანთა დეპარტამენტს, ინტერნეტს ვინ ჩივის, აუდიტის, მონიტორინგისა და საერთაშორისო განყოფილებები, ასევე ანალიტიკური ცენტრიც არ ჰქონდა.

— ბატონო ირაკლი, დემაგოგად ჩამთვლით, მაგრამ, თუკი ყველაფერი ეს გააკეთეთ, ვეტერანები რატომღა გიპირისპირდებიან?

— შეგიძლიათ, რაღაცებს პასუხი ჩემს გარეშეც გასცეთ...

— მე რატომ უნდა გავცე?

— გარდა იმისა, რომ მოქალაქე ხართ, პროფესიონალი ჟურნალისტიც ხართ... ბიუჯეტი 2-მილიონნახევარი იყო და 7 მილიონნახევრამდე გაიზარდა, ოღონდ ავხსენი, ეს თანხა საით უნდა მივმართო. ზოგი გამოვარდა და დაიწყო, შიხიაშვილს ასეთი რა დამსახურება აქვს, ბიუჯეტი ამხელაზე რომ გაუზარდეთო. ვეტერანს, ამას რომ ისმენს, რა განწყობა ექნება?

— ჰოდა, თქვენც გამოვარდით და ახსენით!

— ერთხელ უკვე ვთქვი და ამაზე დრო რომ დავხარჯო, საქმის გასაკეთებლად აღარ დამრჩება!

— მოადგილეები ალაპარაკეთ!

— რა მაგარი ნათქვამია, სხვა სხვის ომში გმირიაო...

— სურვილიც არ მაქვს, თქვენს ომში გმირი ვიყო!..

— ის 7-მილიონნახევარი შიხიაშვილის ჯიბეში კი არ მიდის, საქმეს მოხმარდება და თუ არ მოხმარდება, პასუხი მომთხოვონ!

— თქვენ რომ რიგითი ვეტერანი იყოთ და 22-ლარიან დახმარებას იღებდეთ, ირაკლი შიხიაშვილზე რას იფიქრებდით?

— ჯერ ვკითხავდი, რას აპირებ-მეთქი, რომელიც მიპასუხებდა: 73 ათას ვეტერანს კითხვარი დაურიგდა და თავისი მოსაზრება გამოხატა, რას მიიჩნევს პრობლემებიდან პრიორიტეტად. აქამდე საფუძვლიანად არავის შეუსწავლია, რას ფიქრობენ ვეტერანები. სამ თვეში, მადლობა უფალს, 8 რეგიონში ჩავედი და 14 ათას ვეტერანს შევხვდი — ეს, მგონი, უსაქმურობა არაა. ვთვლი, კარგი საქმეა, როცა სამეგრელოში, რომელმაც ყველაზე დიდი ტკივილი გადაიტანა, ერთად დასხდებიან ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მომხრეები, პარტიზანები, გვარდიელები, მხედრიონელები და იტყვიან, მოდი, ხვალინდელი დღე ჩვენი შეკავშირებით დავიწყოთ და ამ ქვეყანაში მშვიდობის გარანტი გავხდეთო... როცა გავიგებდი, შიხიაშვილის ინიციატივით, ვეტერანთა შვილების სწავლის დაფინანსება 50 პროცენტამდე უნდა დავიდეს, დაუბეგრავი მინიმუმი კი 9 ათას ლარამდე გაიზარდოსო, ჩავთვლიდი, შიხიშვილი კარგ საქმეს აკეთებს...

— გავიგე...

— ერთი წამით, ეს არასრულზე არასრული ჩამონათვალია და თუ კითხვას მისვამთ, არც მოსმენით დაიღალოთ...

— არ დავღლილვარ, გისმენთ!

— თუ ჩავთვლიდი, რომ კიდურებდაკარგული ვეტერანებისთვის...

— ეტლების გამოყოფას ითხოვთ, არა?

— არა, ბატონო, პროთეზისთვის თანხების გამოყოფას ვაპირებთ. საზღვრისპირა რეგიონებში კი ვეტერანთა დასახლების შექმნას ვგეგმავთ — მხოლოდ სახლებს კი არა, მიწის ნაკვეთებსაც დავურიგებთ და ვეტერანს სახელმწიფოს აღმშენებლის როლში გადავიყვანთ. აჭარაში, ათასკაციან შეხვედრაზე, 700-მა ვეტერანმა განაცხადა, მზად ვარ, საზღვრისპირა რეგიონში დავსახლდეო და ეს საქმე არ არის?.. ერთმა ჟურნალისტმა მკითხა, რატომ გებრძვიანო. იმიტომ მებრძვიან, რომ იმათ ეშინიათ, საქმე არ გამოვიდეს.

— ვის, „იმათ“?

— ნაციონალებს.

— მხოლოდ ნაციონალებს?

— იმათაც, ვინც ნაციონალების ხმაზე ლაპარაკობს.

— წეღან მკითხეთ, თქვენზე რას ვფქრობდი. ახლა მე გეკითხებით: ჩემზე რას ფიქრობთ?

— თქვენ ხართ ადამიანი, რომელსაც ძნელად თუ დაარწმუნებ... მტკიცე ხასიათი გაქვთ, ოღონდ რაღაცებს ძნელად იჯერებთ... ასე პირდაპირ, მგონი, მხოლოდ მართალი ადამიანი გიპასუხებთ!

— გინდათ, ყველაფერი, რაც მითხარით, დავიჯერო?

— ერთ ბრძენს დავესესხები, თუ ჩემს სიმართლეს არ დაიჯერებენ, მე მხოლოდ სიტყვებს დავკარგავ, სხვები კი — სიმართლესო. დანარჩენი თქვენ გადაწყვიტეთ, გონება ხომ გულსაც აქვს... ხშირად ისინი მაფასებენ, რომლებიც არ მიცნობენ, მაგრამ მოდი, საქმეზე ვილაპარაკოთ...

— ბატონო ირაკლი, მოდი, ასე შევთანხმდეთ: ყოველ სამ თვეში ერთხელ შეგხვდებით და თქვენს გაკეთებულ საქმეებს რევიზიას ჩავუტარებ...

— თვეში ერთხელ მოდით, რა პრობლემაა?!

— კეთილი... ვიდრე დაგემშვიდობებით, ერთიც გამანდეთ: ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელად ვისი ინიციატივით დაინიშნეთ?

— პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის. ზოგს ეგონა, ქვემო ქართლის გუბერნატორი უნდა გავმხდარიყავი, თუმცა არ ვიცი, ეს აზრი საიდან გაუჩნდათ.

— გინდოდათ გუბერნატორობა?

— მეომრებს ერთი თვისება გვაქვს: ბიჭებს, სიცოცხლის ფასადაც რომ დაგვიჯდეს, ბრძოლაში არ ვტოვებთ!

— ესე იგი, ღარიბაშვილის გუნდის წევრი ხართ?

— კი...

— ამბობენ, რომ პრემიერის გუნდზე შეტევაა და შეიძლება, თქვენც...

— (სიტყვას მაწყვეტინებს) საიდან დაინახეთ, რომ შეტევაა?.. მე ასე არ ვთვლი. თუკი საქმეს ვერ გავაკეთებ, ზუსტად ვიცი, ღარიბაშვილი ამ საქმიდან გამწევს და სწორადაც მოიქცევა. საქმე კარგად უნდა ვაკეთო!

— დამდეგ ახალ წელს გილოცავთ, ირაკლი ბატონო!

„რეზო ჩხეიძეზე გავლენას ერთი ადამიანი ახდენს, რომელიც მამაჩემის ასაკით და ჯანმრთელობით სარგებლობს!“

თამარ ჩხეიძე ინტელიგენციის ნაწილის პრორუსულობის მიზეზებს ასახელებს

ეროვნულ შელია
557-100-768

ზუსტად იმ დღეს, როცა ევროპარლამენტმა საქართველოს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა, პუტინი 2008 წლის მოვლენების გამეორებით დაიმუქრა... რა საგარეო საფრთხეების წინაშე დგას ქვეყანა და ვინ მართავს რეჟისორ რეზო ჩხეიძეს, რომელიც ერს რუსეთისკენ გეზის აღებას ურჩევს? — „ვერსია“ რეზო ჩხეიძის ქალიშვილს, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს, თამარ ჩხეიძეს ესაუბრა.

— ქალბატონო თამარ, პუტინი 2008 წლის განმეორებით იმუქრება. ომი იწყება?

— ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, დასავლეთი პუტინის აგრესიას რამდენად ეფექტურად მოიგერიებს. თუ პუტინზე წნეხი შეარბილა და მძიმე მდგომარეობიდან მშვიდად გამოძრომის შესაძლებლობა მისცა, საფრთხე მთელ მსოფლიოს, განსაკუთრებით კი, საქართველოსა და უკრაინას დაემუქრება. ამ ფონზე, ქვეყნის შიდაპოლიტიკაც მნიშვნელოვანია — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხმა აქტუალობა უნდა არ დაკარგოს.

— ჩანს, პუტინს, 2008 წლის მსგავსად, დასავლეთის პოზიცია დღესაც არ აშინებს. მეტიც, მუქარანარევი ტონით საქართველოს ხელისუფლებას მოსალაპარაკებლად ეპატიჟება...

— გარკვეული შიში მაქვს, მაგრამ მაინც იმედით ვუყურებ, რომ დასავლეთი პუტინის ჩაძირვისა და მისი აგრესიის აღკვეთის საქმეს ბოლომდე მიიყვანს. თუ დასავლეთი არ დათმობს, პუტინზე გამარჯვება გარანტირებულია! პუტინის გეგმა, რა თქმა უნდა, საქართველოს დაპყრობაა, რასაც, დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნება“ წინააღმდეგობას არ გაუწევს. სამწუხაროდ, 2008 წელს საქართველომ დასავლეთისგან საკმარისი მხარდაჭერა ვერ მიიღო. ამიტომ ცივილურმა მსოფლიომ პუტინს ახლა ადეკვატურად უნდა უპასუხოს. ზოგადად, საუბარს არავისთან გამოვრიცხავ, მაგრამ არ მჯერა, რომ ხელისუფლება ოკუპანტთან შესაბამის საკითხებზე ისაუბრებს. დღეს რუსეთთან დიალოგი მხოლოდ საქართველოს დეოკუპაციაზეა შესაძლებელია! სხვა განყენებულ საკითხებზე საუბარი საქართველოსთვის დამღუპველი იქნება. საერთოდ, ოკუპირებულ ტერიტორიებთან ხელისუფლებამ არასაკმარისად იმუშავა. მესმის, საქართველოს ძალის გამოყენებით ტერიტორიების დაბრუნება არ შეუძლია, მაგრამ სადღაც გაქრა მაქსიმალური ხმაური საერთაშორისო ტრიბუნებზე, რომელიც რუსეთს დისკომფორტს უქმნიდა.

— ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება ხელმოწერილი და რატიფიცირებულია, ნატო-სთან მუშაობაც ინტენსიურად მიმდინარეობს. რის საფუძველზე აცხადებთ, რომ ხელისუფლების ვექტორი რუსეთისკენ იხრება?

— ევროპარლამენტში საქართველოს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაცია სასიამოვნო მოვლენა და ქვეყნის განვითარებისთვის გადადგმული სწორი ნაბიჯია, მაგრამ ცალკე აღებული რატიფიკაცია ვითარებას ვერ შეცვლის. ხელისუფლება იძულებული გახდა, ამ გზით სვლა განეგრძო, რადგან დასავლეთს საქართველოს ევროპულ სივრცეში მოქცევა სურს და არც საქართველოს მოსახლეობას უნდა რუსულ ორბიტაზე დარჩენა. ამ ორ დიდ ნებას ხელისუფლება ღიად ვერ უპირისპირდება, ამიტომ იძულებულია, ოფიციალურად გამოცხადებული კურსის გარეგნულ ფორმებს მიყვეს.

— მოდით, ამ პროცესში საზოგადოების როლზე ვისაუბროთ. პრორუსული განცხადებებით განსაკუთრებით ინტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენელი გამოირჩევა...

— ყველა მიმართულებით მთავარი პრობლემა ყოველთვის ქართული საზოგადოებაა — საზოგადოება ჯანსაღად რომ აზროვნებდეს, დღეს ამ მდგომარეობაში არ ვიქნებოდით. მოქალაქეობრივი ეროვნული თვითშეგნება დაიკარგა და იმ დღეს ველოდები, როცა ყველაფერი ეს იფეთქებს. დიახ, სამწუხაროდ, პრორუსული და პროსაბჭოური ნოსტალგია ბევრს გაუჩნდა. ეს არასწორად წარმართული პოლიტიკის შედეგია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს განვითარების ნაცვლად, საზოგადოების ნაწილი წარსულს ჩაებღაუჭა და ნოსტალგია გაუჩნდა. ეს ჩვეულებრივი პათოლოგიაა.

— ვინ შეუწყო ხელი ამ პათოლოგიის დამკვიდრებას, დაფიქრებულხართ?

— პათოლოგიების მიზეზი ქართული საზოგადოებისა და პოლიტიკური სპექტრის მოუმწიფებლობა გახდა — მტრისგან ადვილად სამართავები აღმოჩნდნენ. რუსული პოლიტტექნოლოგიები საკმაოდ ეფექტურად მუშაობდა და დღესაც მუშაობს. ბალტიისპირეთი, ქართველებივით, ადვილად სამართავი არ აღმოჩნდა. მართალია, ის, საქართველოსგან განსხვავებით, უკეთეს სასტარტო პირობებში იყო, მაგრამ ამან მეორეხარისხოვანი როლი შეასრულა. მთავარი ფაქტორი ხალხის პოლიტიკური სიმწიფე და მენტალიტეტი გახდა. როგორც უნდა გვეწყინოს, საქართველოში რუსული იმპერიული ძალები, თეატრალიზებული გზით, საკუთარ ინტერესებს ყოველთვის ახორციელებდნენ, რასაც საზოგადოებაც ადვილად ყვებოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ პოლიტიკურ სპექტრში, როგორც ინტელექტის, ასევე, პრინციპებისა და ზნეობის ნაკლებობა იყო და არის. სწორედ ამან მოგვიყვანა დღევანდელ მდგომარეობამდე. სამწუხაროდ, ქართულ რეალობაში ინტელიგენციამ რუსული ძალებისგან შექმნილი კეთილდღეობა შეისისხლხორცა. ზოგი ამას საკუთარი კეთილდღეობისთვის აკეთებს, საკუთარ ინტერესებზე ზრუნვას პატრიოტიზმს ეძახის და ღალატის გზაზე შეგნებულადაა შემდგარი, ზოგს კი, შესაძლოა, გულწრფელად სჯერა.

— ინტელიგენციის ასეთ წარმომადგენლებთან შეხება გაქვთ. გვარები დაასახელეთ!

— აგენტურა ინტელიგენციაში, რასაკვირველია, საკმაოდ დიდი დოზითაა წარმოდგენილი, მაგრამ სხვა სფეროებშიც იგივე ხდება. პუტინმა ყველა ქსელი და მიმართულება მოიცვა, ზოგი ფინანსურად დაინტერესა, ზოგსაც მენტალიტეტიდან გამომდინარე „ამუშავებენ“. კონკრეტულად არავის დავასახელებ, დღეს იმდენად ღიად აფიქსირებენ ეს ადამიანები საკუთარ მოსაზრებებს, რომ საზოგადოებამ ისედაც იცის, ამ კატეგორიაში ვინ იგულისხმება. სამწუხაროდ, დღემდე გარკვეული ნაწილის მენტალიტეტი საბჭოურია და ძველ საბჭოთა ყოფასთანაა დაკავშირებული.

— საბედნიეროდ, ასეთები 10%-ს არ აღემატება. სხვათა შორის, უმცირესობაში მამათქვენი, რეზო ჩხეიძეცაა, რომელსაც ქვეყნის განვითარება რუსეთის გარეშე ვერ წარმოუდგენია.

— ამ თემაზე მასთან ბევრჯერ მიკამათია. ის გარკვეულწილად ასახავს იმ მოვლენას, რომელზეც ვისაუბრე, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში სხვა ფაქტორიცაა ჩართული, რომელსაც ბოლომდე ვერ განვავრცობ. უბრალოდ, ინტელიგენციაში რუსული ძალების ზოგადი ფენომენის გარდა, რეზო ჩხეიძეზე გავლენას ერთი ადამიანიც ახდენს. ეს ადამიანი მამაჩემის ასაკით და ჯანმრთელობით სარგებლობს და ასეთ განცხადებებს აკეთებინებს.

— ვინ არის ეს ადამიანი?

— ვერ დავაკონკრეტებ, მაგრამ რეზო ამ ადამიანის გავლენის ქვეშაა. ამ თემაზე მეტს არაფერს ვიტყვი. საერთოდ, ინტელიგენციის წინააღმდეგ მკვეთრი პოლიტიკის გატარების მომხრე არ ვარ. როგორც წესი, ამ ადამიანებს რუსული ძალებისკენ საზოგადოების ასეთი დამოკიდებულება უბიძგებდა. ამიტომ მათ წინააღმდეგ უფრო მოქნილები უნდა ვიყოთ და საერთოდ, ერთი აზრის წინაშე უნდა გავერთიანდეთ — საქართველომ ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღიდგინოს. შესაძლოა სხვადასხვა საკითხზე განსხვავებული მოსაზრება გვქონდეს, მაგრამ დღეს საზოგადოება არ უნდა დავობდეს, ვის აქვს ქართული ტერიტორიები მითვისებული. ცოტა ხნის წინ მოვისმინე, აშშ-ა ოკუპანტიო. ვინც ასე ფიქრობთ, ჰკითხეთ საკუთარ თავს — აშშ-მ წაგართვათ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი? მთავარი ოკუპაციისგან გათავისუფლებაა, დანარჩენს ყველაფერს ეშველება.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას, რა თქმა უნდა, ყველა მიესალმება!“

„ბიძინა ივანიშვილს აქვს მკვეთრად ჩამოყალიბებული პოზიცია, როდესაც მან გადაწყვიტა, პოლიტიკიდან წასულიყო განაცხადა, რომ საჭიროების შემთხვევაში, დაბრუნდებოდა, მაგრამ ამის საჭიროება დღეს ალბათ, არ არის“, — აღნიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სამტრედიაში ჟურნალისტებთან საუბრისას.

„ნუ მიაქცევთ ყურადღებას, გაზეთებში უამრავი სპეკულაცია მიმდინარეობს. რეალურად ყველაფერი არის ისე, როგორც უნდა იყოს. ასე რომ, აჟიოტაჟის საფუძველი არ არსებობს“, — აღნიშნა ღარიბაშვილმა.

კითხვაზე, ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას მიესალმებით თუ არა, ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას, რა თქმა უნდა, ყველა მიესალმება.

„მეც, თავის დროზე, ვიყავი ერთ-ერთი პირველი, ვინც თვლიდა, რომ ის არ უნდა წასულიყო პოლიტიკიდან, მაგრამ ეს იყო მისი არჩევანი, მისი გადაწყვეტილება. ჩვენ ყველანი ვართ მისი გუნდი, მისი კურსის გამგრძელებლები და რა თქმა უნდა, ეს ასეც იქნება“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

„ინტერპრესნიუსი“

ალექსანდრე გრიგოლაშვილის აეროპორტში ჩამოსვენებას ხელისუფლების წარმომადგენელი დაესწრო

„აეროპორტში ჩვენი ყოფნა ალექსანდრე გრიგოლაშვილის ოჯახის მიმართ მხარდაჭერის გამოხატულებაა“, — ამის შესახებ ჟურნალისტებს ალექსანდრე გრიგოლაშვილის ჩამოსვენებისას, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ვლადიმერ გურგენიძემ განუცხადა. მისი თქმით, გრიგოლაშვილის მიმართ ყველა სოლიდარულია.

„მთელი ხელისუფლება, მთავრობა, ხალხი სოლიდარულები ვართ ამ ოჯახისადმი. ამის გამოხატულებაა ჩვენი აქ ყოფნა. ყოველგვარ მხარდაჭერას ვუცხადებთ ოჯახს“, — განაცხადა გურგენიძემ და აღნიშნა, რომ გადმოსვენებასთან დაკავშირებით ყოველგვარი ღონისძიებები მთავრობამ და ხელისუფლებამ თავის თავზე აიღო.

უკრაინაში გარდაცვლილი ქართველი სამხედრო ალექსანდრე გრიგოლაშვილი სამშობლოში ორმა უკრაინელმა თანამებრძოლმა ჩამოაცილა.

აეროპორტში ჩამოსვენების ცერემონიას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვლადიმერ გურგენიძე და უკრაინის კონსული დაესწრნენ. აეროპორტში იმყოფებოდნენ გარდაცვლილის ოჯახის წევრები და ახლობლები. გარდაცვლილის ცხედარი თბილისის აეროპორტიდან პირდაპირ ქუთაისში, მის საკუთარ სახლში გადაასვენეს.

ალექსანდრე გრიგოლაშვილი, რომელიც „აიდარში“ იბრძოდა, 18 დეკემბერს დაიღუპა. იგი 32 წლის იყო. გრიგოლაშვილი 2007-2008 წლებში მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

„ინტერპრესნიუსი“

ვერსიანიუსი

ჭიკაიძის მოადგილემ სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის ბაზები მოინახულა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, თეიმურაზ მღებრიშვილმა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, დაბა ასპინძაში შსს-ს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამედროვე სტანდარტებით მშენებარე ახალი ბაზა დაათვალიერა და სამუშაო პროცესებს ადგილზე გაეცნო.

მინისტრის მოადგილემ ასევე მოინახულა ქალაქ ახალციხეში მდებარე შსს-ს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამმართველო. თეიმურაზ მღებრიშვილი პირად შემადგენლობას შეხვდა და ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურა დაათვალიერა.

„ვერსიანიუსი“

კეთილშობილი ქალბატონი ქავთარაძის ქუჩიდან

ივანო პავლიაშვილი

იღბალს+ალღო+X=წარმატებას — ამ არამათემატიკურ ერთუცნობიან განტოლებაში X-ის პოვნა არცთუ რთულია. ყოველ შემთხვევაში, ბიზნესმენმა ნატალი კვანტალიანმა ზემოხსენებული ამოცანა ადვილად ამოხსნა. დიახ, ქალბატონი ნატალის წარმატების ფორმულის მთავარი კომპონენტი ადამიანების დახმარების სურვილია. საერთოდ, „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალური ბანკის“ ხელმძღვანელისთვის დახმარება და ქველმოქმედება უცხო არაა — იმ დღესაც კაბინეტი ჩანთებით ჰქონდა სავსე. ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. მასპინძელმა დამაკვალიანა, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს საახალწლო საჩუქრებს ვუგზავნითო... საერთოდ, წელს ქალბატონი ნატალისგან საახალწლო პრეზენტს 150 ბავშვი მიიღებს...

„ნატალი კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალურ ბანკს“ 15 ათასზე მეტი დონორი ჰყავს

ყველაფერი კი რამდენიმე წლის წინ, ასე დაიწყო: ქალბატონი ნატალის დედა ავად გახდა — სისხლი იყო საჭირო... მთელი თბილისი მოიარეს... ამაოდ — სისხლი ე.წ. ქავთარაძის სისხლის ბანკშიც არ ჰქონდათ. სისხლს ვინ ჩივის, ერთ დროს ამიერკავკასიაში სახელგანთქმული სამედიცინო დაწესებულება იავარქმნილი იყო: 1932 წელს, აკადემიკოს გრიგოლ მუხაძის თაოსნობით დაარსებულ „სისხლის გადასხმის ცენტრალურ სადგურში“ ძეხვის საამქრო ფუნქციონირებდა. ერთხელ, სისხლის ანალიზს ვაკეთებდი და თავზე ვირთხა დამახტაო, — მეუბნება ერთ-ერთი ღვაწლმოსილი ექიმი, რომელიც დაწესებულებაში ლამის დაარსების დღიდან მუშაობს...

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ნატალი კვანტალიანმა სისხლის ბანკის აღორძინება ჩაიფიქრა. ამასობაში, სახელმწიფომ, რომელსაც ბანკის შენახვის თავი აღარ ჰქონდა, ქვეყნის მთავარი აორტა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ღია აუქციონზე გასაყიდად გამოიტანა. ეს შანსი იყო, რომელიც ჩანაფიქრს რეალობად აქცევდა და... ქალბატონმა ნატალიმ სისხლის ბანკი შეიძინა. სატენდერო პირობები 2-მილიონიან ინვესტიციას ითვალისწინებდა, თუმცა ბიზნესმენმა ქალბატონმა სისხლის ბანკს უკვე 8 მილიონი დაახარჯა, მაგრამ გასაკეთებელი, როგორც იტყვიან, კიდევ ბევრია...

— სისხლი ბიზნესია? — ორაზროვნად ვეკითხები ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ყველაზე ახალგაზრდა აკადემიკოსს, ნატალი კვანტალიანს, რომელიც სამჯერ, სხვადასხვა ბიზნესსაკონსულტაციო ორგანიზაციამ „წლის ბიზნესმენად“ დაასახელა.

— სისხლი ბიზნესი კი არა, სიცოცხლეა! — ჩვეული თავდაჯერებულობით მპასუხობს თანამოსაუბრე, — ერთმა წვეთმა სისხლმა ადამიანი შეიძლება, სიკვდილისგან იხსნას და ამ დროს ფულზე ლაპარაკი, უბრალოდ, უზნეობაა!

ახლა ვინმემ, შეიძლება, გადაჭარბებულად ჩამითვალოს, მაგრამ „ნატალია კვანტალიანის სისხლის ცენტრალურ ბანკში“ თუკი ერთხელ მაინც მოხვდებით, დარწმუნდებით, რომ აქაურობა მართლაც ზნეობისა და კეთილშობილების ოაზისია — პროფესიონალები თავიანთ საქმეს უხმაუროდ აკეთებენ... ბელა კვაჭანტირაძე, რომელმაც სისხლის ბანკში 38 წელი იმუშავა, ახლახან პენსიაში გავიდა, თუმცა ქალბატონი ბელას თქმით, „პენსიაში გასვლა“ სიმბოლურია, რადგან ნატალი კვანტალიანის გადაწყვეტილებით, რამდენიმე თვის განმავლობაში, მხოლოდ ხელფასს კი არ იღებდა, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, სამსახურშიც იძახებდნენ...

— სიმართლე რომ ვთქვა, ქალბატონი ნატო რა ვალდებული იყო, ხელფასი მოეცა?! ისე, ქალბატონი ნატო ჩვენთან პირველად რომ მოვიდა, ყველა შეგვკრიბა, თათბირი ჩაგვიტარა და გვითხრა, ნუ ინერვიულებთ, არავის გაგიშვებთო და ეს პირობა შეასრულა, მაგრამ უკვე ასაკიანი ვარ, ახალგაზრდები მოდიან და ვიფიქრე, ჩემი აქ ყოფნა სირცხვილია, უნდა წავიდე-მეთქი, — მეუბნება ქალბატონი ბელა...

საქართველოში სისხლის ჩაბარების უამრავი პუნქტია, მაგრამ „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალური ბანკის“ მთავარი ღირსება, გარდა იმისა, რომ 82-წლიანი ისტორია აქვს, ისიცაა, ვიწრო პროფილზე, ვთქვათ, მხოლოდ ლეიკემიით ან სხვა მძიმე სენით დაავადებულებზე კი არა, ნებისმიერზეა ორიენტირებული, ვისაც სისხლი სჭირდება! ამიტომაც ბანკის დევიზია — „სისხლი ყველას!“

არიან ადამიანები, რომლებიც სისხლს გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ აბარებენ, თუმცა ბოლო დროს უანგარო დონორთა რაოდენობა თვალშისაცემად იზრდება და ამას „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალური ბანკის“ სტატისტიკაც მოწმობს. ასე, მაგალითად, თუკი ბანკს 2009 წელს 7781 დონორი ჰყავდა, ეს რიცხვი დღეს გაორმაგებულია და დონორთა რაოდენობა 15 ათასს აჭარბებს, რაც ბუნებრივია, საქართველოში ISO სერტიფიკატის მქონე „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალური ბანკის“ ხელმძღვანელის, ქალბატონი ნატალი კვანტალიანისა და მისი პროფესიონალი გუნდის დამსახურებაა. ისე, პარალელისთვის, უნდა აღინიშნოს, რომ ლატვიას, რომელსაც ევროპული სტანდარტის სისხლის ბანკის შექმნა, წითელი ჯვრის ხელშეწყობით, 220 ათასი ევრო დაუჯდა, წელიწადში 20 ათასი დონორი ჰყავს.

სხვათა შორის, ქალბატონი ნატალის გადაწყვეტილებით, ხშირად ბანკი სისხლს უანგაროდაც გასცემს. სწორედ ამიტომაც, ერთ-ერთი საავადმყოფოს მიერ გამოცხადებულ ე.წ. ტენდერში ნატალი კვანტალიანმა მონაწილეობა არ მიიღო.

— ხომ გითხარით, მთავარი ფული არ არის! იმაზე დიდი ბედნიერება არაფერია, როცა ადამიანი სიკვდილს დაამარცხებს და იცი, ამ ბრძოლაში გარკვეული წვლილი შენც მიგიძღვის, — ამბობს ქალბატონი ნატალი და თანამშრომლებს დამდეგ შობა-ახალ წელს ულოცავს.

— სიცოცხლის გადარჩენა გასაგებია, მაგრამ ადამიანმა სისხლი მაინც რატომ უნდა ჩააბაროს? — ისევ ორაზროვნად ვეკითხები ნატალი კვანტალიანს.

— დონორობა, პირველ რიგში, მორალური კმაყოფილებაა — სისხლის ჩაბარებით უმძიმეს ავადმყოფს ეხმარები. გარდა ამისა, სისხლის გაღებით ორგანიზმის სისხლმბადი ორგანოების სტიმულირება ხდება ანუ სისხლის ახალი უჯრედები წარმოიქმნება და, შესაბამისად, დონორები იშვიათად ავადდებიან, — მიხსნის ქალბატონი ნატალი და დასძენს, რომ ყველა საჭირო გამოკვლევა, რომელიც დონორს ან დონაციის მსურველს უტარდება, „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალურ ბანკში“ უფასოა.

აი, ასე: გავა წლები, მეცნიერება ისევ განვითარდება, ტექნოლოგიები უფრო დაიხვეწება და... ალბათ, ის დროც დადგება, როცა სისხლი დღეისთვის უკურნებელ სნეულებებადშერაცხულ დაავადებებსაც განკურნავს. ასე გადაიშლება ისტორიის მორიგი ფურცელი ისტორიისა, რომელშიც „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალური ბანკის“ ხელმძღვანელისა და თითოეული თანამშრომლის სახელი, ვინც ქართული სისხლის, უფრო სწორად, სისხლის ბანკის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანა, ოქროს ასოებით ჩაიწერება! ისე, ისტორიაში შესვლის შანსი თითოეულს გვაქვს. როგორ? როგორ და — მარტივად: გავხდეთ დონორი, გადავარჩინოთ სიცოცხლე!

„ვისოლ ჯგუფმა“ „სმარტი“ და „ვენდის“ რესტორანი საბურთალოზეც გახსნა

ახალ ობიექტებზე კომპანიამ 300-მდე ადამიანი დაასაქმა

ამიერიდან, სასიამოვნო ოჯახური საღამოები საბურთალოზე „ვენდისში“ შეგიძლიათ მოუწყოთ შვილებს და იქვე, „სმარტშიც“ შეიაროთ სასურველი პროდუქტის საყიდლად — სუპერმარკეტ „სმარტის“ და ამერიკული რესტორნის ქსელის „ვენდის“ მეორე რესტორანი ცინცაძის (ყოფილი საბურთალოს) ქუჩაზეც გაიხსნა.

„ვისოლ ჯგუფის“ ახალ სავაჭრო ობიექტზე 300-მდე ადამიანი დასაქმდა. გახსნის საზეიმო ცერემონიალს „ვენდის“ საერთაშორისო პრეზიდენტი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილე და თბილისის მერის მოადგილე დაესწრნენ.

„ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტის, **სოსო ფხაკაძის** განმარტებით, საბურთალოზე, „სმარტის“ სუპერმარკეტში 20 ათასი დასახელების პროდუქტი გაიყიდება: **„საბურთალოზე უნიკალური სავაჭრო ცენტრი გავხსენით. აქ დიდი ფორმატის „სმარტია“, სადაც 20 ათასი დასახელების პროდუქტი, საუკეთესო ფასად გაიყიდება. აქვე განთავსდა „სმარტის“ ცნობილი კაფეტერია. პარალელურად გავხსენით, მსოფლიოში „ვენდისის“ ყველაზე დიდი რესტორანი. ჩვენი სლოგანია — „ხარისხი დეტალებშია“. ხარისხი, მართლაც ჩვენი ბიზნესწარმოების ქვაკუთხედია. ვულოცავ ამ დღეს „ვისოლ ჯგუფის“ ახალ თანამშრომლებსაც, ისინი უკვე ჩვენი დიდი ოჯახის წევრები არიან. დიდი მადლობა კომპანიებს, რომლებმაც ჩვენთან თანამშრომლობა გადაწყვიტეს“.**

„ვენდის“ საერთაშორისო პრეზიდენტმა **დარალ ვანლიგტენმა** კი მადლობა „ვისოლ ჯგუფს“ გადაუხადა იმ დიდი ძალისხმევისთვის, რომლის დამსახურებითაც, საქართველოში გახსნილი „ვენდისი“ განსაკუთრებულია: **„შესანიშნავი დღეა, რადგან საბურთალოზე „ვენდის“ ახალი რესტორანი გაიხსნა. ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება, ეს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შედეგია. მადლობა აშშ-ს ელჩის მოადგილეს, საქართველოში „ვენდის“ შემოსვლის საფუძვლის შექმნისთვის. ასევე დიდი მადლობა „ვისოლ ჯგუფს“ დიდი ძალისხმევისთვის — საქართველოში გახსნილი „ვენდისი“ განსაკუთრებულია და ამით ნამდვილად ვამაყობთ. „ვისოლ ჯგუფმა“ ჩვენი ბრენდი უფრო დაამშვენა და დახვეწა. მთავარია, ამ პარტნიორობით იქმნება ახალი სამუშაო ადგილები“.**

აშშ-ს ელჩის მოადგილემ კი, ახალი ობიექტების გახსნა მომხმარებლებს მიულოცა და აღნიშნა, რომ აშშ-ს მთავრობა საქართველოში სხვადასხვა წარმატებული კომპანიის შემოსვლას ყოველთვის შეუწყობს ხელს. **„ამერიკული ინვესტიციების განხორციელება მიუთითებს, რომ საქართველოში სამართლიანობა დაცულია და ინვესტორებს ინვესტიციების განხორციელების არ ეშინიათ. გამიკვირდა, რომ ბევრი პროდუქტი, რომელიც „სმარტსა“ და „ვენდისშია“, წარმოებულია საქართველოში. „ვენდისი“ ჩვენი კულტურის ნაწილია, ამიტომ აქ მე თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. ამერიკელებს აქ მოსვლა ძალიან გვიხარია“.**

თბილისის მერის მოადგილემ, **ალექსანდრე მარგიშვილმა** კი, აქცენტი იმაზე გააკეთა, რომ ახალი ობიექტების გახსნა თავისთავად გულისხმობს ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას, რაც საქართველოს მოსახლეობისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია: **„თბილისელებს მივულოცავ ამ შესანიშნავ დღეს. ახალი ობიექტების გახსნა და ადამიანების დასაქმება ყველას უხარია. სასიხარულოა ისიც, რომ ეს არ არის ადგილი, სადაც მხოლოდ პროდუქტის შესაძენად მოხვალ. აქ შეიძლება ოჯახის წევრებთან ერთად მოხვიდე, დაისვენო და გაერთო. ამისთვის, „ვისოლ ჯგუფის“ მადლობელი ვარ“.**

„ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტის, სოსო ფხაკაძის განმარტებით, საბურთალოზე „სმარტისა“ და „ვენდის“ ობიექტები გამოირჩევა ერგონომიკით. აქ თითოეული დეტალი მომხმარებელს კიდევ ერთხელ არწმუნებს, რა მნიშვნელოვანია „ვისოლისთვის“ ხარისხი. მისივე თქმით, ეს სასიამოვნო სიურპრიზი, „ვისოლმა“ მომხმარებელს სპეციალურად წინასაახალწლოდ შესთავაზა, რათა მათ სადღესასწაულოდ სასურველი პროდუქცია კომფორტულ გარემოში, საუკეთესო ფასად შეძლონ. საბურთალოს ობიექტი „სმარტისთვის“ მე-14 სუპერმარკეტია. ყველა მათგანში ყოველდღიური მოხმარების პროდუქტების ფართო არჩევანი და ზომიერი ფასები გელით. აქვეა კომფორტული „სმარტკაფე“, ინტერნეტზონა (WIFI) ზონა, აფთიაქი, ბანკის ფილიალი, სხვადასხვა ტიპის მაღაზიები... 2 ათას კვ/მეტრზე განთავსებული პარკირების ზონა კი „სმარტში“ თუ „ვენდისში“ სტუმრობას მეტად მოსახერხებელს ხდის.

„ვისოლ ჯგუფმა“ „სმარტის“ განვითარება 2010 წელს დაიწყო. დღეს, სუპერმარკეტები წარმატებით ფუნქციონირებს აღმაშენებლის მე-13 კილომეტრზე, რუსთაველის გამზირზე, ვაკეში, ვაზისუბნის მეორე მიკრორაიონში, ახალციხეში, ყვარელსა და ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გორის მონაკვეთზე. „ვენდის“ პირველი რესტორანი კი, 2013 წელს, რუსთაველის გამზირზე გაიხსნა. დღეს, „ვენდის“ უკვე 4 ამერიკულ რესტორანში, მსოფლიოში ყველაზე პოპულარული, უგემრიელეს პრეტცელის პურში მოთავსებული ჩედარის მდნარი ყველითა და შებოლილი ბეკონით მომზადებული „პრეტცელ ბურგერების“ დაგემოვნებასაც შეძლებთ. პრეტცელის პური „ვენდის“ რეცეპტით საქართველოშია დამზადებული და იგი უნიკალური გემოვნური თვისებებით გამოირჩევა. საქართველოში იმპორტირებული პროდუქტების ადგილობრივით ჩანაცვლება „ვენდისის“ ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ბიზნესამოცანაა.

ნინო ლურსმანაშვილი

ლიბერთი ბანკმა და მანდატურის სამსახურმა სიმსივნით დაავადებულ პატარებს საახალწლო სურვილები აუსრულეს

ბერი ანდრიას სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრს საყოფაცხოვრებო ტექნიკა გადასცეს

საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, 19 დეკემბერს, ლიბერთი ბანკის დირექტორმა დავით ვერულაშვილმა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილემ გიორგი კილაძემ, სოლიდური სიმსივნით დაავადებულ ბავშვთა ცენტრის ბენეფიციარები მოინახულეს. მანდატურის სამსახურმა, ბერი ანდრიას სახელობის სასტუმრო-სარეაბილიტაციო ცენტრს, ლიბერთი ბანკის დახმარებით, ფუნქციონირებისთვის აუცილებელი საყოფაცხოვრებო ტექნიკა და საახალწლო საჩუქრები გადასცეს.

უკვე ერთი წელია, რაც ბერი ანდრიას სახელობის ფონდმა, დიდ დიღომში, მირიან მეფის ქუჩაზე, სოლიდური სიმსივნით დაავადებული ბავშვებისთვის სასტუმრო-სარეაბილიტაციო ცენტრი მოაწყო. ამ სახლის დიასახლისმა, დედა თინათინ ჩხვიმიანმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ ერთი წლის წინ, ერთი კეთილი ადამიანი გამოჩნდა, რომელმაც ამ ტიპის სარეაბილიტაციო სახლის დაქირავების იდეა შესთავაზა და ორი წლის მანძილზე, ყოველთვიური ქირის გადახდასაც დაპირდა. სახლი იქირავეს და ოთხი თვის მანძილზე, კერძო ინვესტორი გადასახადს იხდიდა, ამის შემდეგ კი, როგორც დედა თინათინი გვიამბობს, მას გარკვეული პრობლემები შეექმნა და დაფინანსებაც შეწყვიტა:

„მაინც მადლობელი ვარ იმ ადამიანის, რადგან გამარისკინა და ეს სახლი დავიქირავე. ოთხი თვის შემდეგ, ღვთის წყალობითა და კეთილი ადამიანების დახმარებით, აგერ უკვე ერთი წელია, ვარსებობთ. საერთოდ, ამ სახლის არსებობა მნიშვნელოვანია, როგორც ამ ბავშვების, ასევე მათი ოჯახებისთვისაც. ზოგი მათგანი რეგიონიდანაა, თბილისში ღამის გასათევი არ აქვთ, სასტუმროში ნომრის დაქირავება არ შეუძლიათ. ამ სახლში მათთვის ყველაფერი უფასოა, ბავშვი რომ მშობელთან ერთად შემოაბიჯებს, მას არაფერზე ზრუნვა აღარ უწევს, კეთილი ადამიანების საშუალებით, ყველაფერზე ბერი ანდრიას სახელობის ფონდი ზრუნავს“.

ბერი ანდრიას სახელობის სასტუმრო-სარეაბილიტაციო ცენტრი სამსართულიან, საკმაოდ სიმპათიურ და კომფორტულ სახლშია განთავსებული. აქვეა პატარა, კარგად მოვლილი ეზო და სახლის ერთგული დარაჯი, ძაღლი. სოლიდური სიმსივნით დაავადებული ბავშვები და მათი მშობლები ამ სახლში თავს მართლაც კომფორტულად გრძნობენ, თუ გავითვალისწინებთ იმ დაავადების სიმძიმესა და მკურნალობის სირთულეს, რაც ზოგადად, ამ დიაგნოზს ახლავს... თუმცა სპეციალისტებთან ერთად, ბავშვებისა და მათი მშობლების სოციალურ და ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაზე დედა თინათინი ზრუნავს, რომელსაც საკმაოდ ტრაგიკული გამოცდილება აქვს... ბერი ანდრიას სახელობის ფონდი, სოლიდური სიმსივნით დაავადებულ 32 ბავშვზე ზრუნავს. დედა თინათინის განმარტებით, 32-ვე ბავშვი ამ სახლში რეაბილიტაციას მონაცვლეობით გადის. ერთდროულად, ამ ცენტრში მხოლოდ 6 ბავშვი რჩება, რადგან სახლი სწორედ 6 ბავშვზეა გათვლილი:

„თუ ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებში, სტატისტიკურად, 80 ბავშვი გამოჯანმრთელდება და მხოლოდ 20 შემთხვევა დასრულდება ლეტალობით, სოლიდური სიმსივნეებით დაავადებულ ბავშვებში ეს სტატისტიკა პირიქითაა. ეს უფრო მძიმე დაავადებაა და გაცილებით დიდ განსაცდელთან გვაქვს საქმე. ამიტომ ამ ცენტრში არა მხოლოდ ბავშვების, არამედ მშობელთა რეაბილიტაციაზეც ვზრუნავთ, გარდაცვლილი ბავშვების მშობლებიც აქ დადიან და უფუნქციოდ არ რჩებიან. მას შემდეგ, რაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, სოლიდარობის ფონდი შეიქმნა, სოლიდური სიმსივნით დაავადებული პაციენტების მკურნალობის ხარჯს ეს ფონდი ფარავს, ხოლო მძიმე სოციალურ პრობლემებს ბერი ანდრიას სახელობის ფონდი იღებს თავზე.

დღეს კი, მანდატურის სამსახურისა და ლიბერთი ბანკის წარმომადგენლები გვესტუმრნენ. ისინი ჩვენი პირველი მეკვლეები არიან საახალწლო მარათონში და იმედი გვაქვს, ასეთი სტუმრობა გაგრძელდება. ვისურვებდი, მათ სხვა ბიზნესორგანიზაციებიც შემოუერთდნენ და ჩვენი ბავშვები უყურადღებოდ არ დატოვონ. მანდატურის სამსახურსა და ლიბერთი ბანკს კი უღრმეს მადლობას ვუხდი, რადგან ძალიან მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწიეს და ისინი ჩვენი მეგობრები არიან“.

ლიბერთი ბანკმა ბერი ანდრიას სახელობის სასტუმრო-სარეაბილიტაციო ცენტრს საყოფაცხოვრებო ტექნიკა გადასცა, ბავშვები კი სიმბოლურად, საახალწლო საჩუქრებით გაახარა. ლიბერთი ბანკის დირექტორის, **დავით ვერულაშვილის** განცხადებით, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, მომავალშიც განაგრძობენ სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობას და პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, საქველმოქმედო აქციებსაც ხელს შეუწყობენ:

„ლიბერთი ბანკის სახელით, სოლიდური სიმსივნით დაავადებულ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის ბენეფიციარებს დამდეგი, 2015 წლის შობა-ახალი მივულოცეთ. ამ ცენტრს, ფუნქციონირებისთვის აუცილებელი საყოფაცხოვრებო ტექნიკა გადავეცით, რათა მათი ყოფითი პირობები გაგვეუმჯობესებინა. უფრო მეტად სასიხარულოა, ოდნავ მაინც თუ შევძელით ბავშვების გამხნევება და გახალისება.

მინდა, უსწრაფესი განკურნება ვუსურვო ამ ბავშვებს, გამოჯანმრთელების რთულ გზაზე კი ჩვენი სითბო და თანადგომა ვაგრძნობინოთ“.

უკვე ერთი წელია, რაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მანდატურის სამსახური, ბერი ანდრიას სახელობის სასტუმრო-სარეაბილიტაციო ცენტრს აქტიურად ეხმარება. მანდატურის სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ, **გიორგი კილაძემ** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ამ ტიპის დახმარებას ისინი მომავალშიც განაგრძობენ და სოლიდური სიმსივნეებით დაავადებულ ბავშვებს ყურადღებას არ მოაკლებენ:

„ძალიან მნიშვნელოვანი დღეა, რადგან ლიბერთი ბანკმა და მანდატურის სამსახურმა გადავწყვიტეთ, ბერი ანდრიას სახელობის ფონდს დავხმარებოდით და სარეაბილიტაციო სახლი საყოფაცხოვრებო ტექნიკით დავასაჩუქრეთ. ამ სახლის ბინადრებს დამდეგ ახალ, 2015 წელს ვულოცავ, ვუსურვებ გამოჯანმრთელებასა და ბედნიერებას. მომავალში, სხვადასხვა ღონისძიებებს ვგეგმავთ, რომლის ფარგლებშიც, ამ ბავშვებს კვლავ გვერდში დავუდგებით და გულებს გავუხარებთ.

დიდი ხანია, მანდატურის სამსახური ამ სახლს ეხმარება, როგორც საკუთარი სახსრებით, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციების საშუალებითაც. ლიბერთი ბანკმა მართლაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, ძალიან კარგი იქნება, თუ ამ ბანკს სხვა ბიზნესორგანიზაციებიც მიბაძავენ და ამ საქველმოქმედო აქციას შემოუერთდებიან“.

21 წლის **პაატა ბიწაძე,** უკვე 11 წელია, მკურნალობს. ცენტრის ბინადრებს შორის, ყველაზე უფროსია, ამიტომ თავდაჭერილად მიიღო სტუმრები — მანდატურის სამსახურისა და ლიბერთი ბანკის წარმომადგენლები. „ვერსიასთან“ საუბრისას კი მადლობა გადაუხადა ყურადღებისა და საჩუქრებისთვის. დაუფარავად გვითხრა, რომ ბერი ანდრიას სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრში თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში. ამ ტიპის ცენტრის არსებობა მართლაც მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმ პაციენტებისთვის, რომლებსაც ქიმიოთერაპიის ან გადასხმების კურსის დროს, რაიონებიდან თბილისში ჩამოსვლა უწევთ:

„უკვე 11 წელია ვმკურნალობ. ეს სახლი მართლაც დიდი შეღავათია ჩვენთვის. აქამდე მკურნალობის კურსს ონკოლოგიურ საავადმყოფოში გავდიოდი, მაგრამ გადასხმებამდე ერთი კვირით ადრე მაინც გვიწევდა თბილისში ჩამოსვლა, რათა დაზღვევის საბუთები მოგვეწესრიგებინა. გადასხმების დროს გვიჭირს ხოლმე გაჩერება და წარმოიდგინეთ, რა ძნელია, როდესაც იძულებული ხარ, ერთი კვირით ადრე ჩამოხვიდე, რაც საკმაოდ რთული იყო ჩვენთვის. ამ სახლში კი თავს კომფორტულად ვგრძნობ, აქ ყველაფერი უფასოა ჩვენთვის — კვება, პირადი ექიმის მომსახურება, ფსიქოლოგიური დახმარება“.

მაია მიშელაძე

417 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი სოფლის მეურნეობის ყველა დარგს მოიცავს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსა და ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს შორის, არც ისე დიდი ხნის წინ, მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მეპაიეები ბათუმის, სიღნაღისა და თბილისის სემინარებში მონაწილეობდნენ. სემინარების ძირითადი თემა, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ხელშეკრულება იყო. კოოპერატივების წარმომადგენლებმა მიიღეს ინფორმაცია, თუ რა სიკეთე მოუტანა ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებულმა ხელშეკრულებამ ფერმერს, გლეხს, რა სატარიფო პოლიტიკა იქნება იმპორტთან და ექსპორტთან დაკავშირებით. ამავე მემორანდუმის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს შესაძლებლობა ექნებათ, საერთაშორისო გამოფენებში მიიღონ მონაწილეობა, სადაც საკუთარ პროდუქციას წარმოაჩენენ. „ვერსიას“ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე, გიორგი მიშელაძე ესაუბრება.

რაფომ უნდა შეიქმნას სპეციალური სახელმწიფო პროგრამა მხოლოდ კოოპერატივებისთვის

— ბატონო გიორგი, თქვენი სააგენტო უკვე ერთი წლისაა, ამ ხნის მანძილზე, კოოპერატივების შექმნის პროცესში, რა ტიპის პრობლემები გამოიკვეთა, ან რამდენად მზად არიან ქართველი ფერმერები და გლეხები, კოოპერატივებში გაერთიანდნენ?

— დღევანდელი მდგომარეობით, სტატუსის მქონე 417 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი შეიქმნა, სადაც 3 187 მეპაიეა გაწევრიანებული. ვიდრე ამ შედეგს მივაღწევდით, სააგენტოს საკმაოდ დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა ადამიანებისთვის აეხსნა, თუ რას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. კოოპერატივს ჯერ კიდევ კოლმეურნეობასთან აიგივებენ, მეტიც — შეხვედრების დროს, გლეხები პირდაპირ გვეუბნებოდნენ, რომ უკან, კოლმეურნეობაში გვაბრუნებთო. თუმცა დღევანდელი გადასახედიდან, ფაქტია, საკმაოდ ბევრმა ადამიანმა გაიაზრა, რას ნიშნავს კოოპერატივი. ჩვენდა სამწუხაროდ, ისეთი კატეგორიაც არსებობს, რომლებსაც კოოპერატივების სიკეთეები ბოლომდე არ აქვთ გააზრებული, არ იციან, რა სახით უნდა იმუშაონ კოოპერაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ქვეშ, ან რა უფლებები და მოვალეობები აქვთ. სამწუხაროდ, სტატუსის მქონე კოოპერატივებშიც გვხვდება ფაქტები, როდესაც საოჯახო მეურნეობასთან გვაქვს საქმე და არა, კლასიკური გაგებით, კოოპერატივთან. მართალია, ეს მცირე რაოდენობაა, რომლებიც ამინდს ვერ ქმნიან, მაგრამ ჩვენი მიზანია, სწორედ ასეთ კოოპერატივებთან ვიმუშაოთ, რათა დავანახოთ აუცილებლობა, რომ კოოპერატივის ქოლგის ქვეშ, მხოლოდ ოჯახური მეურნეობების სახით კი არ იმუშაონ, კლასიკური კოოპერატივები შექმნან, სადაც უფრო მეტ ადამიანს გააწევრიანებენ.

— რას ნიშნავს კოოპერატივი, კლასიკური გაგებით?

— ეს იმას ნიშნავს, რომ ფერმერები და გლეხები, საერთო ეკონომიკური მიზნების მისაღწევად უნდა გაერთიანდნენ. შესაძლოა, პირობითად, რამდენიმე ოჯახი, სოფელი, ან რაიონიც კი გაერთიანდეს, რადგან წევრთა მაქსიმალური რაოდენობა შეზღუდული არ არის. როდესაც კოოპერატივს ბევრი მეპაიე ჰყავს, უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს, რომ ისინი, როგორც საბითუმო ბაზრის მიმწოდებლები, ასევე ამა თუ იმ სერვისისა და საქონლის შემსყიდველებიც იყვნენ, რაც კოოპერატივის საშუალებით, ფერმერებს ხარჯებს შეუმცირებს. აი, სწორედ ეს არის კოოპერაციის სიკეთე და არა ვთქვათ, ერთი ოჯახი, რომელიც საკუთარი ოჯახის ფარგლებში საქმიანობდა, მაგრამ ახლა, კოოპერატივის სახით, იურიდიული პირი დააფუძნა, სხვებს კი არ იერთიანებს. ამიტომ, რა ხარჯიც ადრე ჰქონდა, ახლაც იგივე აქვს და ასეთი ორგანიზაციის შექმნას აზრი არ აქვს. სწორედ ძალთა და რესურსების ერთიანობით მივდივართ იმ შედეგამდე, როდესაც კოოპერატივის ნებისმიერ წევრს, ამავე კოოპერატივის საშუალებით, ხარჯები უმცირდება, მოგება კი ეზრდება. კოოპერატივი აძლევს ფერმერებს იმის შესაძლებლობას, სახელმწიფოსთან ერთად, მათ საქმიანობაში, თანამედროვე ტექნოლოგიები და გამოცდილება დანერგონ.

— ერთი წლის მანძილზე შექმნილი 417 კოოპერატივი სოფლის მეურნეობის ყველა დარგს მოიცავს თუ, კონკრეტულად, ერთ მიმართულებას?

— შეგვიძლია, ვთქვათ, რომ კოოპერატივები სოფლის მეურნეობის ყველა დარგს მოიცავს, ზოგი უფრო მეტადაა ჩართული, ზოგი — ნაკლებად. რაოდენობის თვალსაზრისით თუ შევხედავთ, უფრო მეტი კოოპერატივი მუშაობს მესაქონლეობის, მებაღჩეობისა და მეხილეობის მიმართულებით. რამდენიმე კოოპერატივი მევენახეობაზეა ორიენტირებული, მაგრამ გაცილებით ბევრია კოოპერატივი, რომელთა მიმართულებაა მეფუტკრეობა. გვაქვს მეთევზეობის მიმართულების კოოპერატივებიც ანუ, ფაქტობრივად, ყველა დარგს მოვიცავთ. ცაგერის რაიონში საკმაოდ კარგი კოოპერატივი დაფუძნდა, რომელიც მეთევზეობის მიმართულებით მუშაობს და ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში, შესაძლოა, დაფინანსდეს კიდეც.

— მართალია, კოოპერატივები საქართველოს მასშტაბით შეიქმნა, მაგრამ რომელ კუთხეში გაგიჭირდათ ან პირიქით, არ გაგჭირვებიათ გლეხების დარწმუნება?

— იმის გათვალისწინებით, რომ 417 კოოპერატივი თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბითაა გადანაწილებული, მეტ-ნაკლებად, ერთი და იგივე ვითარება გვხვდებოდა, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში. თუმცა ლიდერები კუთხეების მიხედვითაც გამოიკვეთა. ჩვენდა სამწუხაროდ, ისეთი რაიონებიც გვხვდება, სადაც ჯერ ერთი კოოპერატივიც კი არ შექმნილა. იმერეთის რეგიონის სამ რაიონში — ზესტაფონში, ტყიბულსა და ხარაგაულში ერთი კოოპერატივიც არ შექმნილა. ახალი, 2015 წლიდან, ამ მიმართულებით უფრო გავაძლიერებთ საქმიანობას და უფრო მეტად ვიმუშავებთ მათთან, რათა დავანახოთ, თუ როგორი შესაძლებლობების, ან განვითარების საშუალება ექნებათ კოოპერატივების ფარგლებში. რაც შეეხება ლიდერ რეგიონებს, ამ მხრივ, განსაკუთრებით ქვემო ქართლი აქტიურობს, სადაც 67 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი შეიქმნა, რომელსაც 52 კოოპერატივით, სამცხე-ჯავახეთი მოჰყვება. ამის შემდეგ მოდის აჭარა, იმერეთი და გურია. სხვათა შორის, თავდაპირველად, გურიაში საკმაოდ მცირე რაოდენობის კოოპერატივი შეიქმნა, მაგრამ რეგიონში ერთი რაიონი დომინანტობს და ესაა ლანჩხუთი, სადაც 33 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია რეგისტრირებული. დასაწყისში კახეთიც აქტიურობდა, მაგრამ ბოლო დროს, სხვა რეგიონებს დაუთმო პოზიციები.

— ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია და ხიბლი, რაც კოოპერატივს აქვს, ესაა მის მიერ წარმოებული პროდუქციის ექსპორტზე გატანა. თუ არის რომელიმე კოოპერატივი მზად, მისი პროდუქცია ექსპორტზე გავიდეს?

— სიმართლე გითხრათ, ჯერჯერობით არც ვჩქარობ, კოოპერატივი ექსპორტზე ორიენტირებული იყოს, რადგან ახლა მთავარია, ადგილობრივ ბაზარზე იმპორტირებული პროდუქცია ჩავანაცვლოთ. ამ ეტაპზე, უპირველესი ფუნქცია ის არის, რომ კოოპერატივების მიერ წარმოებულმა პროდუქციამ, სწორედ ეს ნიშა დაიკავოს ადგილობრივ ბაზარზე. რაც შეეხება ექსპორტს, ევროკავშირთან სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ყველაზე დიდი საექსპორტო პოტენციალი თაფლსა და თევზს აქვს. როგორც გითხარით, საკმაოდ დიდი რაოდენობით გვაქვს კოოპერატივები, რომლებიც თაფლს აწარმოებენ და ჩვენ უკვე გამსხვილების პროცესი დავიწყეთ. მომავალი წლის პირველივე რიცხვებში, მეორე დონის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბებას ვგეგმავთ, სადაც გაერთიანდებიან, როგორც იმერეთის, ასევე ცაგერისა და რაჭა-ლეჩხუმის რაიონის მეფუტკრეები. მეორე დონის კოოპერატივის ფარგლებში, არა მარტო თაფლის ჩამოსხმასა და მისთვის სასაქონლო სახის მიცემას ვგეგმავთ, არამედ მწარმოებლებს სურთ, თაფლის არაყიც გამოხადონ, რომელიც საკმაოდ არომატული და ჯანმრთელი პროდუქტია. სწორედ მეორე დონის კოოპერატივი ჩამოყალიბდება მეთევზეობის დარგშიც, რადგან ექსპორტზე ცოცხალი თევზის გატანა ცოტა ძნელია, გაყინულს კი თავისი ტექნოლოგიური ხაზები სჭირდება. იმისათვის, რომ ამა თუ იმ დარგში ექსპორტი განხორციელდეს, სტაბილური მიმწოდებელი უნდა არსებობდეს. ამიტომ მეორე დონის კოოპერატივის შექმნა აუცილებელია, სადაც პირველი დონის კოოპერატივის მიერ წარმოებული პროდუქცია გადამუშავდება.

— ბატონო გიორგი, კონკრეტულად, რას ნიშნავს მეორე დონის კოოპერატივი?

— ჩვენ პირობითად ვუწოდებთ მეორე დონის კოოპერატივს, რომელიც კოოპერატივების მიერ იქმნება და ორიენტირებულია პირველადი პროდუქციის მწარმოებელ კოოპერატივებზე. მეორე დონის კოოპერატივის მიმართულება გადამამუშავებელი, სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობაა, სადაც პირველადი პროდუქციის მწარმოებელი კოოპერატივები გაერთიანდებიან. ამას მოჰყვება მესამე დონის კოოპერატივიც, რადგან ვფიქრობთ, საწარმოო ციკლი ავაწყოთ. პირველ დონეზე პროდუქციის მოყვანაზე ვიზრუნებთ, მეორე დონეზე — მის გადამუშავებასა და შეფუთვაზე, ხოლო მესამე დონეზე — მარკეტინგსა და გამსხვილებული კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციაზე. საბოლოო მიზანი ის არის, რომ სწორედ ამ საწარმოო ჯაჭვში იქნება იმ გლეხკაცისა, თუ ფერმერის წვლილი და წილიც, რასაც ის პირველი დონის კოოპერატივში ჩადებს. კოოპერაციის მთავარი ხიბლი, სწორედ ამ საწარმოო ციკლში ჩართვაა, ანუ ფერმერი მხოლოდ პირველი დონის კოოპერატივით არ უნდა შემოიფარგლოს.

— ერთი წლის მანძილზე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს ENPARD-თან. რა ტიპის პროექტებს ახორციელებს ევროკავშირის ეს ორგანიზაცია და ძირითადად, რა მიმართულებით გეხმარებათ?

— ევროკავშირის პროგრამას ოთხი საერთაშორისო, არასამთავრობო ორგანიზაცია ახორციელებს, რომელიც ორიენტირებულია კოოპერატივებისა და ფერმერული გაერთიანებების ჩამოყალიბება-გამსხვილებასა და მათ ტექნიკურ დახმარებაზე. ამ პროგრამის ფარგლებში, კოოპერატივებსა და ფერმერულ ჯგუფებს შესაძლებლობა აქვთ, რომ თანამონაწილეობის პრინციპით დაფინანსების შემთხვევაში, როგორც საწარმოო ხაზები, ასევე საჭირო ტექნიკა, აღჭურვილობა და საბრუნავი საშუალებები მიიღონ. ENPARD-ის ფარგლებში, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტექნიკური დახმარების პროგრამა არსებობს, რომელიც საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებისა და უშუალოდ, ჩვენი სააგენტოს ტექნიკური დახმარების პროგრამაა. აქ მოიაზრება კონფერენციები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების ორგანიზება, ექსპერტების დაქირავება. ჩვენ ორი მიმართულებით ვსაქმიანობთ, ვავითარებთ, როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, ასევე სამინისტროსა და სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურების განვითარებაზეც ვზრუნავთ.

— იქიდან გამომდინარე, რომ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულია და „ქართული ოცნების“ პროგრამის ეკონომიკური ნაწილიც, სწორედ სოფლის განვითარებას ეძღვნება, ამ კონტექსტში, როგორ ეხმარება სამინისტრო თქვენს სააგენტოს, რამდენად გამოცოცხლდა სოფელი 2012 წლიდან დღემდე?

— ბოლო კითხვიდან დავიწყოთ, გამოცოცხლდა კი არა, შედარებაც არ შეიძლება იმ მდგომარეობასთან, რაც 2012 წლის 1 ოქტომბრამდე იყო სოფლის მეურნეობაში. ასეთი ფრაზაც მომისმენია, რომ 2012 წლამდე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს დიდი ბოქლომი ედო, რადგან ფაქტობრივად, არაფერი კეთდებოდა და მხოლოდ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გამოცოცხლდა აგრარული სექტორი. რაც შეეხება ჩვენს დახმარებას, სოფლის მეურნეობის სამინისტრო არა მხოლოდ გვეხმარება, არამედ სააგენტო ამ სამინისტროს სისტემას წარმოადგენს. ჩვენ ერთი ორგანიზმი, ერთი უწყება ვართ და შესაბამისად, ნებისმიერ საქმეს, კონკრეტულ ღონისძიებებს, ოღონდ ჩვენ-ჩვენი მიმართულებით, ვახორციელებთ. თუმცა ჩვენ მაინც ერთი სტრუქტურა და სამინისტროს კონკრეტული დარგის განმხორციელებლები ვართ. რაც შეეხება კოოპერაციის დახმარებას, ის, რომ დღეს ასეთი შედეგები გვაქვს, სწორედ სამინისტროს დამსახურებაა. მოტობლოკების პროგრამა, რომელსაც ახლა ვახორციელებთ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა. სააგენტოს ფუნქცია კოოპერატივების ორგანიზება და საინფორმაციო კამპანიის წარმართვაა, მთავარი იდეა კი სამინისტროდან წამოვიდა, სადაც ჩვენი მონაწილეობით, ეს პროგრამა შეიქმნა. მოტობლოკების პროგრამის ფარგლებში, პირდაპირი მიყიდვის წესით, 4 000 ლარის ღირებულების ტექნიკას კოოპერატივები დაახლოებით, 900 ლარად იღებენ, რაც საკმაოდ დიდი მხარდაჭერაა. სამინისტროს ერთ-ერთი სტრუქტურა, „პროექტების მართვის სააგენტო“, შეღავათიანი აგროკრედიტისა და თანადაფინანსების საგრანტო-საწარმოო პროგრამას ახორციელებს, რომლის ფარგლებშიც, სხვა სუბიექტებთან ერთად, კოოპერატივებსაც შეუძლიათ მონაწილეობა.

სიმართლე გითხრათ, ჩვენ ცოტა სხვაგვარად ვხედავთ კოოპერატივების დაფინანსების პროგრამას და დარწმუნებულები ვართ, რომ სამინისტროსთან ერთად, ისეთ სახელმწიფო და ფინანსური მხარდაჭერის პროგრამებს შევიმუშავებთ, რომლებიც მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე იქნება ორიენტირებული. ამ პროგრამის ფარგლებში, კონკურენციას კოოპერატივები გაუწევენ ერთმანეთს, რაც იმას ნიშნავს, რომ კოოპერატივის კონკურენტი ერთი, ძლიერი სუბიექტის მიერ დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ანუ შპს არ იქნება. სამწუხაროდ, ამა თუ იმ სახელმწიფო პროგრამებში, კოოპერატივები სხვა იურიდიული ფორმით დაფუძნებულ სუბიექტებს კონკურენციას ვერ გაუწევენ, რადგან მათ ბაზარზე მუშაობის 20-წლიანი გამოცდილება აქვთ, უკვე სტაბილურები არიან და შესაბამისად, ახლად ჩამოყალიბებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი მათი კონკურენტი ვერ იქნება. სწორედ სამინისტროსთან ერთად ვმუშაობთ, რათა კოოპერატივებისთვის სპეციალური სახელმწიფო პროგრამები ჩამოყალიბდეს.

რატომ ეწოდება შობის მარხვას ფილიპეს ორმოცეული

რა შემთხვევაში არ ისმენს ღმერთი ჩვენს ლოცვებს

ელაშა ცაიშვილი

ღვთის წყალობით, კვლავ მოგვეახლა მადლმოსილი შობის მარხვა, რომელიც ორმოცი დღე გრძელდება. იგი, დიდმარხვისა და მარიამობის მარხვისგან განსხვავებით, შედარებით მსუბუქ მარხვად ითვლება, რადგან 25 დეკემბრამდე, ოთხშაბათი-პარასკევის გარდა, თევზით არის ხსნილი.

ხშირად ადამიანებს არც აქვთ გააზრებული მარხვის ჭეშმარიტი დანიშნულება და უფრო მოდასაყოლილნი, მის გარეგნულ მხარეებზე ამახვილებენ ყურადღებას. არადა, მარხვა მხოლოდ ლობიოს, თევზისა თუ წიწიბურას მირთმევა არ გახლავთ. მთავარი, სულიერი კათარზისის მიღწევაა: იყო ქრისტიანი, ნიშნავს ცდილობდე, მიემსგავსო ქრისტეს. ადამიანი უნდა შეეცადოს, ყოველივე ის, რაც დაკავშირებულია ქრისტიანობასთან, სიღრმისეულად გაიაზროს და განიცადოს. ამ მიზნით, გვსურს, მკითხველს დამატებითი ინფორმაცია მივაწოდოთ, ზოგადად ქრისტიანული ცხოვრებისა და ასევე ამჟამად მიმდინარე საშობაო მარხვის შესახებ.

ალბათ ბევრისთვის არ არის ცნობილი, რომ საშობაო მარხვას, ფილიპეს ორმოცეულიც ანუ წმინდა ფილიპე მოციქულის მარხვაც ეწოდება. ამის შესახებ ქრისტიანულ ლიტერატურაში ვპოულობთ ცნობებს, სადაც წმინდა ანასტასი სინელი გვაუწყებს შემდეგ ისტორიას: მისი თქმით ფილიპეს ორმოცეულთან დაკავშირებით ცნობები მოცემულია, წმინდა ფილიპეს მიმოსვლაში (ათენის სინტაგმა, გვ. 582). წმინდა ანასტასი გვიამბობს, რომ წმინდა ფილიპე და ბართლომე მოციქულებს, თავიანთი სამქადაგებლო მოღვაწეობის დროს მიუღწევიათ აზიის ჰიერაპოლისამდე, რა დროსაც ახლდათ ბართლომეს და მარიამნა. წმინდანები წარმართებს შეუპყრიათ, ფილიპე მოციქული ჯვარზე გაუკრავთ, ბართლომე მახლობელ ხეზე დაუკიდიათ, მარიამნა კი საპყრობილეში ჩაუგდიათ, რის შემდეგაც ფილიპე მოციქულს, იქ მისული იოანესთვის (სავარაუდოდ, იგულისხმება იოანე ღვთისმეტყველი, რადგან სახარებისეულად სწორედ მას და იაკობ მოციქულს უკავშირდება წარმართების დასასჯელად, ზეციდან ცეცხლის გამოთხოვის სურვილი) უთხოვია, შევედრებოდა ღმერთს, რათა ზეციდან ცეცხლი გარდამოვლენილიყო ურჯულოთა მოსასვრელად. იოანესგან უარი მიიღო. ამის შემდეგ ფილიპეს თავად ულოცია, რის შემდეგაც მიწა გაიხსნა და წარმართები ერთიანად ცოცხლად შთაინთქმნენ ჯოჯოხეთში. ყოველივე ამის შემდეგ კი ფილიპეს მაცხოვარი გამოეცხადა და შეახსენა მცნება მტერთა სიყვარულზე („ნუვინ ბოროტსა ბოროტისა წილ მიაგებთ“, რომ. 12,17), ბოლოს უთხრა **„რადგან ეურჩე ჩემს მცნებას და ბოროტი მიაგე შენს შემაწუხებლებს, ამიტომ როდესაც შენ აქ აღესრულები და დიდებით იქნები წაყვანილი ჩემი წმინდა ანგელოზების მიერ თვით სამოთხემდეც, ვერ შეხვალ მასში, არამედ ორმოცი დღე გარეთ იდგები დამწუხრებული და „მოტყინარე მახვილისგან“ დაბრკოლებული, რადგან დაამწუხრე შენ შენი შეურაცხმყოფლები. ბოლოს, შეხვალ შიგნით და მიიღებ შენთვის გამზადებულ ადგილს“** (მცირე სჯულის კანონი. გვ. 45).

ამის შემდეგ უფალს ამოუზიდავს ჯოჯოხეთში ჩაცვენილი წარმართები და კვლავ ცად ამაღლებულა, ამ გამოცხადების შემდგომ ფილიპე მოციქულს ბართლომესა და მარიამნასთვის უთხოვია, იაკობისა და სხვა მოციქულებისთვის ეთქვათ, რათა ემარხულათ და ელოცათ მის გამო ორმოცი დღის განმავლობაში. ამ ამბის მოთხრობის შემდგომ წმინდა ანასტასი სინელი ბრძანებს: **„ასე განუსაზღვრეს მოციქულებმა ყველა მორწმუნეს ორმოცდღიანი მარხვა და ლოცვა, რაც დაცულია წმინდა მამათაგან და შვიდი მსოფლიო კრების მიერ... იგი იწოდება „ქრისტეშობისად“, რადგან ამ ორმოცი დღის დასასრულს ემთხვევა ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მაცხოვნებელი შობა და ორი სიკეთე ხდება ერთდროულად, რადგან მოციქულთა გადმოცემასაც აღვასრულებთ ამ მარხვით და, აგრეთვე, წინდაწინ განვიწმინდებით წმინდა ღვთისმშობლისა და მარადქალწულისგან წარუდინებლად და გამოუთქმელად შობილი ჩვენი უფლის იესო ქრისტეს შესახვედრად“ (გვ.583).**

არიან ადამიანები, რომლებიც ქრისტიანებად თვლიან თავს, მაგრამ ეკლესიური ცხოვრებით არ გამოირჩევიან. ისინი მარხვის პერიოდში ხანდახან თუ გაიხსენებენ წირვა-ლოცვასა და მსახურებებზე დასწრების აუცილებლობას, ამიტომაც მათ ნახევრად ხუმრობით მარხვის მრევლსაც ეძახიან-ხოლმე. ხოლო როდესაც მარხვა სრულდება, აღარავის ახსენდება ეკლესია, ქრისტიანობა და ღმერთი. ალბათ გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამგვარი მორწმუნეები ხშირად მარხვის დასრულების შემდეგ არა მარტო რძისნაწარმითა და ხორცეულით, არამედ მრავალი სასიკვდილო ცოდვებით: სიძვითა და აღვირახსნილობითაც იხსნილებენ, რაც დაახლოებით იგივეა, ადამიანი კაცის მოკვლას რომ აპირებს, მაგრამ ამ ცოდვის ჩასადენად არასამარხვო დღეებს არჩევს. აი, სინამდვილეში, ამგვარია ჩვენი ქრისტიანობა და ვერ ვიაზრებთ, რომ სულიერი მარხვის დრო არასოდეს სრულდება, მათ შორის არც მაშინ, როდესაც ფიზიკური მარხვა განილევა. მერე კი გვიკვირს, რატომ არ უჩანს ბოლო განსაცდელსა და უბედურებას, ან ღმერთი რატომ არ ისმენს ჩვენს ლოცვებს. ზოგმა „ბრძენმა“ შეიძლება ისიც დაასკვნას, რომ რადგან ჩვენი ლოცვები არ სრულდება, შესაძლოა არც ღმერთი არსებობს. ალბათ ამგვარ ადამიანებზე თქვა წმინდა დავით მეფსალმუნემ ,,სთქვა უგუნურმა, გულსა შინა თვისსა არა არს ღმერთი.“

ამ საკითხებთან დაკავშირებით არსებობს საინტერესო მონათხრობები წმინდა მამათა ცხოვრებებში, რომელთაგან ერთს აქაც მოვუხმობთ: ძველ დროში იყო ერთი წმინდა ბერი, რომელიც განსაკუთრებულად აკვირდებოდა ადამიანებს და ხედავდა, რომ ისინი ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობენ, ტაძარშიც დადიან, ყველანაირ მსახურებებს ესწრებიან, მაგრამ არ იცვლებიან, კვლავ ატარებენ იმ ცოდვებსა და მანკიერებებს, რომლებიც ეკლესიაში მისვლამდე ჰქონდათ. თითქოს მათ ღვთისგან არ ეძლევათ სინანული, მშვიდობა და შეწევნა. წმინდა მამა ვერ ხვდებოდა ყოველივე ამის მიზეზს და უკვირდა, ნუთუ ღმერთი არ ისმენს მათ ლოცვებსო. არადა, ყოველ კვირა და დღესასწაულებზე, ტაძრები მრევლით იყო გადავსებული. ერთხელაც მას სიზმრეული ჩვენება მიეცა. იხილა თუ როგორ აიყვანა იგი ღვთის ანგელოზმა დედამიწიდან მაღლა და რაც უფრო ზევით მაღლდებოდნენ, მით მცირდებოდა და სუსტდებოდა დედამიწიდან ამომავალ ადამიანთა ხმები. ბოლოს, მხოლოდ რამდენიმე ჰარმონიული ხმაღა ისმოდა. იგი დაეკითხა ანგელოზს, თუ რა იყო ეს და სად დაიკარგა სხვა ადამიანების ლოცვების ხმა. ანგელოზმა მიუგო: ეს გულწრფელი და წმინდა გულით მლოცველი მორწმუნეთა ხმებია. დანარჩენს, მომყევი და თავად იხილავ.

მან ბერი კვლავ ქვევით დააბრუნა და ყველაზე დიდი ტაძრის გუმბათთან მიიყვანა. გუმბათის თაღები გაიხსნა და ისინი უხილავად ტაძარში აღმოჩნდნენ. ბერი ხედავდა წირვაზე მოსულ აუარება მორწმუნეებს, რომლებიც მსახურებას ესწრებოდნენ და ლოცულობდნენ, თუმცა ყველა, მათ შორის მგალობლები და მედავითნეებიც, გარეგნულად პირს აღებდნენ, მაგრამ ბაგეებიდან ხმა არ ამოსდიოდათ. იგი გაოცებული დაეკითხა თავის ზეციურ მეგზურს, რატომ არ ამოსდიოდათ ხმა ბაგეებიდან მლოცველებს. წმინდა ანგელოზმა მიუგო: ახლა მოგასმენინებ მათ ფიქრებს და მიხვდები, რატომ ხდება ასე და რატომ არ ისმინება ღვთის წინაშე მათი ლოცვები; უეცრად, ბერს ერთი მგალობელის აზრები მოესმა, თუ როგორ ოცნებობდა გუნდის ხელმძღვანელად ყოფნაზე. შემდეგ მედავითნის შეწუხებული აზრებიც გაიგონა, იმის შესახებ რომ მსახურებით დაღლილიყო, მღვდლად კურთხევაზე ფიქრობდა და მოუთმენლობას იჩენდა. ერთი მრევლთაგანი ქალბატონი, მეორეს ჩაცმულობას შურიანად განიკითხავდა საკუთარ ფიქრებში. იქვე მდგარი მამაკაცი სავაჭრო წაგება-მოგებაზე წუხდა. ახალგაზრდა ბიჭი კი, თანატოლ გოგონას მუშტრის თვალით აკვირდებოდა და იმაზე ფიქრობდა გამოყვებოდა თუ არა ცოლად. ბოლოს, ერთი პატარა ბავშვი იხილა, რომელიც ხატებთან გულმხურვალედ ლოცულობდა და ღმერთს სნეული დედის განკურნებას ევედრებოდა. ბერმა ნახა, რომ მხოლოდ ამ ბავშვის ბაგეებიდან ამოსულ ლოცვას ჰქონდა ხმა და მხოლოდ ის ისმოდა. ანგელოზმაც მიუგო: აი, მარტო ამგვარად გულწრფელი გულით აღვლენილი ლოცვები ადის ღვთის წინაშეო. როდესაც ხილვა დასრულდა, ბერი კარგად მიხვდა, რა ყოფილა მიზეზი, რომ ადამიანებში ფერისცვალება არ ხდება, რატომ არ ისმინება მათი ლოცვები და არ ცხრება დედამიწაზე განსაცდელი და სასჯელი.

ამ წმინდა მამის გასაოცარი ხილვის ისტორიას ჩვენი ეკლესიური ცხოვრებიდან შეგვიძლია დავამატოთ მაგალითები, როგორ გვეზარება წირვა-ლოცვაზე სიარული და მრავალ მიზეზებს ვეძებთ, ეს რომ გავამართლოთ. თუ მაინც მივედით ტაძარში მსახურებაზე, წუთებს ვითვლით და ყოველწამს საათზე ვიხედებით, რამდენი ხანი დარჩა ლოცვის დასრულებამდე. დრო კი ხშირად იმითაც გაგვყავს, ვფიქრობთ, სახლში მისვლისას რას მივირთმევთ და მოლოდინში სული გველევა. ზოჯერ მთელი ლოცვა რომელიმე ოჯახის წევრთან ან ახლობელთან გონებრივ დავა-კამათში გაგვყავს და ველოდებით წუთებს, ამ ყველაფერს პირში როდის მივახლით... გამოდის, ვერ ვიაზრებთ, სად ვიმყოფებით. როდესაც ზიარება იწყება, აღარ ვიცით როგორ გადავთელოთ ერთმანეთი, რიგი მალე რომ მოვილიოთ, გავეშებულ პირუტყვთა ჯოგს ვემსგავსებით. ამის პარალელურად გვერდით მდგომებთან ან ტელეფონზე ვჭორაობთ, მაგალითად წვეულებაზე წასასვლელად სად ჯობია შესამოსლის შეძენა ან რომელი ფირმის ყავა თუ ჩაი უფრო არომატულია. მამაკაცები გულდასმით განიხილავენ რომელი მარკის მანქანაა უმჯობესი ან როგორი მონაცემების კომპიუტერის შეძენა ჯობია, ფეხბურთის მატჩზე ვინ უკეთ ითამაშა და ა.შ.

ამასობაში, შუა მსახურების დროს ერთი-ორი მლოცველიც შემოირბენს ჩქარი პირჯვრის წერით სანთელს დაანთებს, ღმერთს ლატარეაში ან ტოტალიზატორში ფულის მოგებას შესთხოვს და ასევე ჩქარი პირჯვრის წერით ისე გაიქცევა ტაძრიდან, თითქოს საპატიმროში იყო. არადა ვინმეს რომ ეთქვა ას დოლარს გადაგიხდი კვირაში ორი დღე რამოდენიმე საათი გაუნძრევლად იდექიო, ალბათ დიდი სიხარულით დათანხმდებოდა. მათ შორის მრავალი ჩვენგანიც არ ვიუარებდით მსგავს შემოთავაზებას. ტაძარში შაბათ-კვირა ორი-სამი საათი დგომა კი ხშირად წარმოუდგენლად გვეზარება.

ხშირად ეკლესიაში სხეულით კი ვიმყოფებით, მაგრამ მხოლოდ ღმერთმა უწყის, სულით სად ვართ. ამის მაგალითებიც გვაქვს წმინდანთა ცხოვრებაში.

მაგალითად, ბასილი სალოსის ცხოვრებაში ვეცნობით შემდეგ შემთხვევას: რუსეთის მეფე ივანე მრისხანემ გადაწყვიტა, აეშენებინა თავისთვის სასახლე ვორობიოვოს მთებზე და შეუდგა კიდეც მშენებლობას. ერთხელაც, დღესასწაულზე ტაძარში მისული მეფე იმის შესახებ ფიქრობდა, როგორი დიდებულებით დაესრულებინა შენობა. წმიდა ბასილიც იმავე ტაძარში მივიდა მეფისგან ფარულად. დადგა ერთ კუთხეში, მეფეს უმზერდა და შინაგანი სულიერი თვალით აკვირდებოდა მის ფიქრებს. ღვთაებრივი მსახურების შემდგომ მეფე თავის პალატში შებრძანდა, მას კვალდაკვალ მიჰყვა ნეტარი ბასილიც. ხელმწიფემ დაუწყო გამოკითხვა, სად იყო იგი ლიტურგიის დროს. ნეტარი პასუხობდა მას, რომ ისიც იქ იყო. მეფემ მიუგო, რომ არ დაუნახავს. ნეტარმა კვლავ უპასუხა: მე კი დაგინახე და ისიც ვიხილე, სადაც შენ სინამდვილეში იყავი. მეფემ მიუგო, რომ იგი ტაძრის გარდა სხვაგან არსად ყოფილა. მაშინ ნეტარმა ამხილა მისი იდუმალი ფიქრები: **„მე შენ გიხილე, თუ როგორ დადიოდი ფიქრებში ვორობიოვოს მთებზე და როგორ აშენებდი სასახლეს, ისე რომ შენ არ ყოფილხარ ღვთის ტაძარში. ბასილი კი იქ იყო, რადგან რომელი ქერუბიმთას გალობის დროს ,,ყოველივე მსოფლიო დაუტეოთ ზრუნვაი“, წმიდა ქერუბიმებთან ერთად იგი თაყვანს სცემდა ღმერთს და არანაირ მიწიერზე არ ფიქრობდა, რადგან ტაძარში დგომის დროს, ამქვეყნიურზე ფიქრი ნიშნავს მასში არ ყოფნას“.** მეფე მოლბა და თქვა, რომ ჭეშმარიტად ასე იყო და კიდევ უფრო მეტად გაუჩნდა შიში ნეტარის მიმართ, როგორც მისი საიდუმლო ფიქრების მამხილებლისადმი („ღირსი ბასილი სალოსისა და საკვირველთმომქმედის ცხოვრება“, გვ. 4).

ასევე, იყო ერთი მღვდელმსახური, რომელსაც სულიერი ხედვა ჰქონდა და ტაძარში მსახურების დროს, საცეცხლურით, ზოგი ადამიანის მხარეს აკმევდა, ზოგისკენ კი არა. ხანდახან იმ ადგილისკენ აკმევდა, სადაც არავინ იდგა. როდესაც მას დაეკითხნენ, რატომ იქცეოდა ამგვარად, უპასუხა: მე მათკენ ვაკმევ, ვინც მხოლოდ სხეულით კი არა, მთელი თავისი არსებით დგას ტაძარში და ლოცულობს, ცარიელი ადგილებისკენ კი იმიტომ ვაკმევ, რომ სინამდვილეში იქ უნდა მდგარიყვნენ ის ადამიანები, რომელთაც მთელი არსებით ეწადათ ტაძარში მოსვლა, მაგრამ ფიზიკური თუ სხვა მძიმე მდგომარეობის გამო, მართლა ვერ შეძლეს მოსვლა.

ზოგჯერ ისიც ხდება, ადამიანები ტაძარში მიდიან, მაგრამ შიგნით დიდხანს ვერ ჩერდებიან. ვინ მოსთვლის, რამდენჯერ შედიან მცირე ხანს ილოცებენ და ისევ გარეთ გამოდიან, ტაძარში საშინლად შებოჭილად გრძნობენ თავს, მოსვენებას ვერ პოულობენ და როგორც კი მის ზღურბლს გადმოაბიჯებენ, ისე ამოისუნთქავენ, თითქოს უმძიმესი ტვირთი მოეხსნათ. ამ მდგომარეობას ეკლესიის მამები მცირედშმაკეულობას უწოდებენ, რადგან ბოროტ ძალას რომელიც მათშია, არ შეუძლია ტაძარში დიდხანს გაჩერება და იძულებულს ხდის ადამიანს, გარეთ გავიდეს და ისიც, გამოსული, ამოისუნთქავს ხოლმე. არადა, გამოსავალი ტაძრის არდატოვებაშია. როცა ამგვარად მოიქცევა მორწმუნე, უკეთური ძალა იძულებული ხდება, თავად დატოვოს ის ადამიანი და ამის შემდეგ ლოცვაც ადვილდება. ამდენად, ეკლესია მხოლოდ ზნეობრივი ინსტიტუტი კი არ არის, არამედ ღვთის ძალა და მადლია, სადაც ადამიანები იწმინდებიან ცოდვებისგან და ღებულობენ სულიერ მადლსა და ძალებს, რათა ღირსეულად იცხოვრონ და ჭეშმარიტი ქრისტიანები გახდნენ. ეს მადლი ადამიანებს არა მხოლოდ აძლიერებს, არამედ იფარავს კიდეც და რაც ყველაზე მთავარია, ეხმარება ცხონებაში. ამიტომაც ამბობენ წმინდა მამები, რომ ეკლესიის გარეშე შესაძლებელია ყველაფერი, ცხონების გარდა.

წმინდა კვიპრიანე კართაგენიელი კი ბრძანებს, რომ „ვისთვისაც ეკლესია არ არის დედა, მისთვის ღმერთი არასოდეს იქნება მამა“.

სუდოკუ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

4		5		8		1		
	3							2
6	2				7			
			5	4		2		8
	1		9		8		6	
9		4		2	6			
			8				1	7
7							5	
		8		7		4		9

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

	3		9					7
	2		5	3		9		
				1	6			3
	6							
3	9		1		8		5	2
							6	
7			8	5				
		3		4	1		7	
1					9		2	

ᲠᲗᲣᲚᲘ

		7	2	9				
	2			1			9	6
4	6				5			
	5					9		
	1		9		7		4	
		8					6	
			5				7	4
5	8			7			2	
				6	8	1		

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	1				9	6		
8			1	7				
6		2	3				1	9
		8		1	7			
1								4
			9	6		2		
2	6				4	7		3
				2	1			8
		5	7				2	

ტვინის ზომას მშობლების სიყვარული განსაზღვრავს



ბავშვთა ფსიქიატრიის პროფესორის, ჯონ ლუბის ხელმძღვანელობით ჩატარებული გამოკვლევის შედეგად, სპეციალისტებმა უჩვეულო დასკვნა დადეს. მათი განცხადებით, ბავშვის ტვინის ზომა მშობლების სიყვარულზეა დამოკიდებული. იმ მშობლების შვილებს, რომლებიც უფრო ხშირად გამოხატავენ სიყვარულსა და მზრუნველობას პატარებისადმი, გაცილებით დიდი ზომის ტვინი აქვთ, ვიდრე ბავშვებს, რომელთა მშობლებსაც, რა თქმა უნდა, უყვართ შვილები, მაგრამ ამ გრძნობას ვერ ამჟღავნებენ. მკვლევართა თქმით, დედა, რომელიც არა მხოლოდ ამშვიდებს აფორიაქებულ ბავშვს, არამედ მას ძილის წინ უმღერის კიდეც, ხელს უწყობს შვილის ტვინის ყველა ნაწილის ნორმალურ განვითარებას. სპეციალისტებმა 3 წლის ორი ბავშვის ტვინი სკანირებისას შეადარეს და შედეგებით თავადაც გაოცებულნი დარჩნენ: ერთი ზომით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მეორისგან. აღმოჩნდა, რომ დიდი ტვინი სწორედ იმ პატარის იყო, რომელიც მშობლებისგან განებივრებულია. პატარა თუ ყურადღების დეფიციტს განიცდის, მას სამწუხარო შედეგები მოჰყვება: უფროს ასაკში ისინი ხშირად ნარკომანები ხდებიან და კრიმინალური სამყაროსკენაც მიუწევთ გული. აწუხებთ როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური პრობლემები. სპეციალისტთა თქმით, ტვინის ნორმალურად განვითარებისთვის განსაკუთრებით საყურადღებო სიცოცხლის პირველი ორი წელია. მშობლებმა სწორედ 2 წლამდე უნდა აგრძნობინონ პატარას სითბო და სიყვარული.

ბედის შეცვლას სკალპელით ცდილობენ

ამომავალი მზის ქვეყნის მცხოვრებთა შორის, როგორც ჩანს, საკმაოდ პოპულარულია ქირომანტია, რადგან მასობრივად იკეთებენ პლასტიკურ ოპერაციებს ხელისგულზე, ხაზები რომ შეცვალონ და შესაბამისად, ბედიც. აქაური ქირურგები აცხადებენ, რომ ყველაზე ხშირად პაციენტები ითხოვენ იმ ხაზების დაგრძელებას ან ახალი ხაზების დამატებას, რაც წარმატებას ან ბედნიერ ქორწინებას უკავშირდება. მსგავსი პლასტიკური ოპერაცია დაახლოებით 110 დოლარი ჯდება და ელექტროსკალპელის დახმარებით კეთდება. ლაზერით ჩარევისას ხაზები მკვეთრი არ იქნება. მკაფიო კვალის დასატოვებლად საჭიროა ელექტრული სკალპელი და ის სპეციალურად არასწორად უნდა შეიყვანო, თითქოსდა, აკანკალებული ხელით, — ამბობს ერთ-ერთი კლინიკის ექიმი. ქირურგიული ჩარევა სულ 10-15 წუთი გრძელდება და ამ პერიოდის განმავლობაში სპეციალისტი ასწრებს 5-10 ხაზის შესწორებას. მამაკაცები, როგორც წესი, ბიზნესში წარმატებასთან დაკავშირებულ ხაზებს იცვლიან, ქალები კი, ყველაზე ხშირად, გათხოვების ხაზების კორექტირებას ახდენენ.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ
ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

2	9	3	6	8	1	7	5	4
7	6	4	2	9	5	3	1	8
1	8	5	3	4	7	6	9	2
3	4	1	5	2	9	8	7	6
9	7	8	4	3	6	1	2	5
6	5	2	1	7	8	9	4	3
5	3	9	8	1	4	2	6	7
4	2	7	9	6	3	5	8	1
8	1	6	7	5	2	4	3	9

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

1	9	8	7	4	5	3	2	6
3	7	2	1	6	9	5	8	4
6	5	4	3	8	2	1	9	7
7	8	5	4	3	6	2	1	9
9	6	3	5	2	1	4	7	8
4	2	1	9	7	8	6	5	3
5	4	7	8	1	3	9	6	2
2	3	9	6	5	7	8	4	1
8	1	6	2	9	4	7	3	5

ᲠᲗᲣᲚᲘ

1	6	5	9	7	2	4	3	8
4	3	2	6	5	8	1	9	7
9	8	7	3	4	1	2	6	5
8	7	1	5	2	9	6	4	3
2	5	6	7	3	4	9	8	1
3	9	4	1	8	6	7	5	2
7	4	3	2	6	5	8	1	9
6	2	9	8	1	3	5	7	4
5	1	8	4	9	7	3	2	6

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

2	1	4	3	9	8	7	6	5
8	7	6	5	2	1	4	9	3
9	5	3	4	7	6	2	1	8
6	4	7	9	5	3	8	2	1
5	9	8	2	1	7	3	4	6
1	3	2	8	6	4	5	7	9
7	2	5	6	3	9	1	8	4
4	6	1	7	8	5	9	3	2
3	8	9	1	4	2	6	5	7

მე-12 გვერდი: 1. ფრეგატი; 2. რუსთაველი; 3. გენაცვალე; 4. ტენორი; 5. მატროსი; 6. ანგსტრემი; 7. რეიხსტაგი; 8. სიტე; 9. ესენინი; 10. იერემია; 11. „არმინია“; 12. გრაცია; 13. აგვისტო; 14. იემენი; 15. ანოა; 16. აპია; 17. „ქვევრი“; 18. ტისა; 19. პანტერა; 20. ბატისტა; 21. „კლეელია“; 22. მარე; 23. ალემაო; 24. ბაია; 25. არნემი; 26. ევა; 27. საყივარი; 28. ჩალა; 29. ომეგა; 30. მარგო. 31. ლაყუჩი; 32. ბინი; 33. ოსტაპ; 34. ხაო; 35. ახალაია; 36. ლუდი; 37. ავი; 38. ასმათი; 39. ასი; 40. რენდი; 41. მის; 42. ერი; 43. ორე; 44. განდი; 45. ჰიდრა; 46. იასირ; 47. კუ; 48. აბა; 49. ლავრა; 50. ოთარ; 51. სი; 52. ბათუ; 53. „კოპელია“; 54. ტაო; 55. ფისი; 56. ძაუ; 57. სკარლეტ; 58. ინა; 59. მორის; 60. პარაბოლა; 61. შეთე; 62. პკე.

ასფალტს ზეთისგან გააკეთებენ

სხვადასხვა ნარჩენების რაციონალური გამოყენების პრობლემა დიდი ხანია მეცნიერების კვლევის არეშია მოქცეული. ვაშინგტონის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა სწავლულმა, ჰაიფან ვენმა მცენარეული ზეთის უტილიზაციის ორიგინალური მეთოდი წარმოადგინა, რომელიც შესაწვავ ჭურჭელში რჩება. იგი ამტკიცებს, რომ ამ ზეთის ასფალტად გადამუშავების ტექნოლოგია შეიმუშავა. ვენის განცხადებით, მისი მეთოდით ერთი ტონა ასფალტის მიღება 200 დოლარით ნაკლები დაჯდება, ვიდრე ტრადიციული მეთოდით. ფასში ასეთი სხვაობა გზების მშენებლობის ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ეკონომია იქნება. მაგალითად, აშშ-ში ყოველწლიურად 30 მილიონი ტონა ასფალტი სჭირდებათ. ამ ინოვაციური ასფალტისთვის საჭირო ნედლეულის მოცულობა არ არის ცნობილი, თუმცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამერიკულ რესტორნებში საკმარისი რაოდენობის მცენარეული ზეთი შეგროვდება. საკუთარი გამოგონების კონკურენტუნარიანობა რომ დაამტკიცოს, ვენი ექსპერიმენტის ჩატარებას აპირებს: შტატის ერთ-ერთ გზაზე „ბიოასფალტს“ დაასხამენ, მერე კი დააკვირდებიან, რამდენად მდგრადი იქნება ჩვეულებრივთან შედარებით.

„კოკა-კოლა“ ბაზარზე რძეს უშვებს

კორპორაცია „კოკა-კოლა“ ბაზარზე რძის საკუთარ ბრენდს — Fairlife-ს ჩაუშვებს. ამის თაობაზე კომპანიის ჩრდილოამერიკული განყოფილების ხელმძღვანელმა განაცხადა. ახალი პროდუქტი, რომელიც ლაქტოზის გარეშე იქნება, აშშ-ს მაღაზიების დახლებზე უკვე მომავალი თვიდან გამოჩნდება. მასში ასევე 30%-ით ნაკლები შაქარი და 50%-ით მეტი პროტეინი იქნება, ვიდრე ჩვეულებრივ რძეში. მისი ფასიც ორჯერ ძვირი იქნება. კომპანიის წარმომადგენლთა განცხადებით, „კოკა-კოლასთვის“ რძის ბიზნესი ხანგრძლივი საინვესტიციო პროექტი იქნება, ასე რომ უახლოეს წლებში მნიშვნელოვან ნაკადს არ უნდა ველოდეთ. თუმცა, „კოკა-კოლას“ ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ შემდეგში დიდ მოგებასაც ნახავენ და „ფული მდინარესავით წამოვა“.

შსს-ს ძიუდოს სპორტული კლუბი ევროპის ჩემპიონი გახდა

შსს-ს ძიუდოს სპორტულმა კლუბმა 18-20 დეკემბერს, ჰოლანდიაში გამართულ ტურნირში, სადაც ევროპის ძიუდოისტთა საუკეთესო გუნდი უნდა გამოვლენილიყო, გუნდური პირველი ადგილი დაიკავა.

შსს-ს ძიუდოს სპორტული კლუბის Figther თბილისი-ს ძიუდოისტებმა ყველა შეხვედრაში დამაჯერებლად იასპარეზეს და საბოლოოდ, გუნდური პირველი ადგილის მოპოვება შეძლეს. ევროპულ სარბიელზე ეს მათი პირველი გამოსვლა იყო. ამ გამარჯვებით ქართველი ძიუდოისტები ევროპის ჩემპიონატის ოქროს ლიგაში გადაინაცვლებენ და გაისად კონტინენტის უძლიერეს გუნდურ ჩემპიონატში მოსინჯავენ ძალებს. ძიუდოს სპორტული კლუბი თბილისში დღეს 23:00 სთ-ზე ბრუნდება.

შსს-ს ძიუდოს სპორტული კლუბისთვის ჰოლანდიაში მიღწეული შედეგი მეორე დიდი გამარჯვებაა. ცოტა ხნის წინ ქართულმა კლუბმა იაპონიაში გამართულ ტურნირში მსოფლიოს საუკეთესო გუნდებს შორის მეოთხე ადგილი დაიკავა. ქართველ ძიუდოისტებს, ჰოლანდიაში გამგზავრებამდე, შს მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე შეხვდა. ძიუდოისტები შსს-ს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კამპანიას შეუერთდნენ და ევროპულ სარბიელზე მიღწეული გამარჯვებაც ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას მიუძღვნეს.

შს მინისტრის ინიციატივით და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ხელშეწყობით, „შინაგან საქმეთა სამინისტროს ძიუდოს სპორტული კლუბი“ 2014 წლის მაისში დაარსდა. კლუბის წევრთა უმრავლესობა საქართველოს ნაკრების ძიუდოისტია და ისინი მსოფლიო ჩემპიონატებისა და საერთაშორისო ტურნირების პრიზიორები არიან.

„ვერსიანიუსი“

შს მინისტრის მოადგილემ „სისხლის სამართლებრივი გამოძიების კურსის“ მონაწილეებს სერტიფიკატები გადასცა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ლევან იზორიამ და საქართველოში აშშ-ს ელჩის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა, ჯეიმს ჰაინმა შსს-ს აკადემიაში „სისხლის სამართლებრივი გამოძიების კურსის“ მონაწილეებს სერტიფიკატები საზეიმოდ გადასცეს. სერტიფიკატების გადაცემის ცერემონიას შსს-ს აკადემიის რექტორი ნუკრი გელაშვილი, აშშ-ს საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს ხელმძღვანელი ტრეისი ნიუველი, მრჩეველი პოლიციის საკითხებში მაიკლ უილსონი და სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს და მთავარი პროკურატურის გამომძიებლებისა და პროკურორებისთვის 6-კვირიანი სასწავლო კურსი ჩატარდა, რომელიც საქართველოში პირველად განხორციელდა. სწავლების კურსი მიზნად ისახავდა ინსტრუქტორების მომზადებას სისხლის სამართლის გამოძიების საბაზისო სტანდარტული პროგრამით, რომელიც ადაპტირებულია საქართველოს კანონმდებლობასთან და ქართულ რეალობაზეა მორგებული.

ინსტრუქტორთა მომზადების კურსს ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილი სამართალდამცავი და სამართლის მცოდნე სპეციალისტები უძღვებოდნენ.

პროგრამა შედგებოდა 240-საათიანი საგამოძიებო და მეთოდოლოგიის სალექციო კურსისგან, რომელიც საუკეთესო პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებზეა აგებული. სწავლება მოიცავდა ისეთ თემატიკას, როგორიცაა სამართლებრივი საფუძვლები (სისხლის სამართლის პროცესი), კრიმინალისტიკა, გამოკითხვის ტექნიკა, გამოძიების მეთოდიკა, ჩვენების მიცემის სპეციფიკა და სწავლების მეთოდოლოგია.

სწავლების შედეგად მომზადებული ქართველი ინსტრუქტორები თავად შეძლებენ აღნიშნული კურსის ჩატარებას. ფართომასშტაბიანი სწავლება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) მიერ იყო ინიცირებული და ორგანიზებული.

„ვერსიანიუსი“

გართოება



1. ტროას გმირი, მოკლა აქილევსმა
2. მსოფლიოს ერთ-ერთი ძირითადი რელიგია
3. კუბის დედაქალაქი
4. თიხის მოჭიქულ-მოხატული ჭურჭელი
5. ტექნიკური ზეთი
6. არგენტინის კლუბი „... ხუნიორსი“
7. მომთაბარე არაბი
8. დავით აღმაშენებლის მემკვიდრე
9. დიდი ვენახი
10. ოტია იოსელიანის მშობლიური სოფელი
11. უნაგირის ნაწილი
12. გერმანული გვარების წინსართი
13. ილიას „კაცია-...?!“
14. უროს მეწყვილე სსრკ-ის დროშაზე
15. რაიმე გამქრალი მოვლენის ნაშთი
16. ჟიულ ვერნის ერთ-ერთი კაპიტანი
17. ნინძების ცივი იარაღი
18. ფარული საძრახისი მოქმედება
19. ალოეს ქართული სახელწოდება
20. კოსმოსში გაფენილი ქართული სიმღერა
21. რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი
22. ძველ ეგვიპტელთა წმინდა ხარი
23. იგივე თაღი
24. მტკიცე პირობა
25. უღვთო, ურჯულო მუსლიმანებში
26. ქართული წარმომობის რუსი მწერალი
27. რბილი ფერადი ფანქრები ფერწერისთ.
28. კრივის მოედანი
29. პოეზიის ჟანრი
30. „შუშანიკის წამების“ პერსონაჟი, სასულიერო პირი
31. თაფლის „მკეთებელი“ მწერი
32. დაუქორწინებლობის აღთქმა კათოლიკ.
33. ჰერაკლეს მეგობარი ბერძნ.მით.
34. პირველი ქართული სახელმწიფო
35. ჯულია რობერტსის კინოროლი – ბროკოვიჩი
36. ორ-ადგილიანი ველოსიპედი
37. „ჭირვეული“ თვე
38. სახმარად უვარგისი, ნედლეულად ვარგ. ნივთ.
39. მოცარტის მოშურნე კომპოზიტ.
40. ლიმონის „ნათესავი“
41. ხაჩიკიანის საყვარელი კერძი
42. ძალიან ბრაზიანი, ანჩხლი
43. (გრამ.) მეტყველების ნაწილი
44. წერილობითი თხოვნა, საჩივარი
45. პოპულარ. მელოდიებით შედგენილი ნაწარმოები
46. ყანის მაფენებელი მწერი
47. დაბალი მაგიდა
48. ქალის ფართო პალტო
49. სასწორის თეფში
50. ჩიტის ძველ-ქართული სახელწოდ.
51. „შევროლეს“ მოდელი
52. ინის საპირისპირო ჩინურ ფილოსოფ.
53. მილის სახით დახვ. თამბაქოს ფოთლები
54. კერორტი კრასნოდარის მხარეში
55. გამარჯ. ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგ.
56. მსახიობი ... თაყაიშვილი
57. პატარა გამოქვაბული ლოდში
58. ქრისტიანობისთვის წამებული არაბი ჭაბუკი
59. შეძახილი კავკასიურ ცეკვებში
60. მათემატიკური მუდმივა
61. სითხის მოცულობის საზომი ერთეული
62. შინაური ფეხაკიანი ფრინველი

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.